645
1974/2

# 50

ეროვნული ბიბლიოთეკა



ЗНАК ПОЧЕТА

# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ი. ბრეჟნევი

ჩვენი პარტიის პოლიტიკა მიზნად ისახავს მისცეს საბჭოთა ქალს ახალი შესაძლებლობანი ბავშვთა აღზრდისა, დიდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა დასვენებისა, სწავლისა და იმისათვის რომ უფრო ფართოდ ეზიაროს კულტურის ყველა სიკეთეს

ლ ი ბრეჟნევი

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ს ა ბ ჭ ო თ ა საქართველოს ქალთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი დარაზმვის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის ჟურნალი „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ქ ა ლ ი“ დაჯილდოვდეს „ს ა პ ა ტ ი ო ნ ი შ ნ ი ს“ ორდენით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი 1974 წ 30 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ უნდა მივიზიდოთ ქალაქად და სოფლად მილიონობით ქალი ჩვენს ბრძოლაში მონაწილეობისათვის და განსაკუთრებით საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნის საქმეში.

ვ. ი. ლენინი.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

# ქართველ მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

საქართველოში სასიხარულო დეპეშა მოვიდა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ქართველ მეჩაიეებს ულოცავდა აღებული სოციალისტური ვალდებულების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას — 292 ათასი ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 802 ათასი. ტონა ფოთლის ჩაბარებას.

ჩვენი სოფლის მშრომელთა მიღწევების ესოდენ მაღალი შეფასება ყველას გულს მოხვდა და ახალი შრომითი ენთუზიაზმი დაანთო.

ბათუმში, მზიური აჭარის დედაქალაქში, სადაც შეიკრიბნენ საზეიმო მიტინგის მონაწილენი, მეჩაიეებმა განაცხადეს, რომ სეზონის ბოლომდე მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 810 ტონა ჩაის.

ამ სიტყვის შესასრულებლად ახალი ძალით გაჩაღდა ფოთლის კრეფა ჩაის პლანტაციებში. ვალდებულების შესასრულებლად დაირაზმნენ ვეტერანები, გამოცდილი მეჩაიეები, ახალგაზრდა მკრეფავები...

ეჭვი არ არის, რომ ვალდებულება შესრულდება!

ეჭვი არ არის, რომ იქნება კვლავ ახალი რეკორდი!





საზეიმო მიტინგი ბათუმში

ფოტო ბ. კიკვაძის და ნ. ანასტასიევისა

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. გ. ს. ძოწენიძეს**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს**

გულმხურვალედ ვულოცავ საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველას, ვინც თავისი აქტიური და თავდადებული შრომით უზრუნველყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი ცნობა, რომ საქართველოს სსრ მეჩაიეებმა წელს მოკრიფეს რეკორდული მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდეს 302 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეთა წარმატება ადასტურებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელთა ძალების დარაზმვისათვის.

ხულითა და გულით ვუსურვებ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახალ მიღწევებს ჩაისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

**ლ. ბრეჟნევი**

მოსკოვი. 1974 წლის 16 სექტემბერი.

## ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ განსაკუთრებული სითბოთი და გულწრფელად მოგილოცოთ „საქართველოს ქალის" მკითხველებსა და რედაქციას, რესპუბლიკის ყველა ქალს საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების 50 წლისთავი.

საქართველოს ქალებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ საბჭოთა ქალების მრავალეროვან ოჯახში, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში, დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საერთო სახალხო საქმეში.

ნება მომეცით ამ დღესთან დაკავშირებით ჟურნალ „საქართველოს ქალის" მეგობრულ კოლექტივს ვუსურვო შემდგომი შემოქმედებითი მიღწევები, რესპუბლიკის ყველა ქალს კი — დიდი ბედნიერება, ყოველმხრივ წარმატება ცხოვრებასა და შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ნათელი მომავლისა და დედამიწაზე მშვიდობის საკეთილდღეოდ.

მ. გიორგაძე,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

მოსკოვი.

## ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას

საბჭოთა ქალების კომიტეტის სახელით მიიღეთ კეთილი და გულითადი მილოცვა ღირსშესანიშნავი თარიღის — საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების 50 წლისთავის გამო.

ჟურნალის სახელოვან იუბილეს თქვენ აღნიშნავთ იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხი შთაგონებით შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, როცა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად, მთელი ჩვენი ქვეყანა ჩაება სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესასრულებლად. ამ საერთო სახალხო საქმეს მთელ თავიანთ უნარს, ოსტატობასა და ნიჭს ახმარენ საბჭოთა ქალებიც.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს. გვჯერა, რომ თქვენი ჟურნალი შემდგომშიც დაეხმარება საქართველოს ქალებს შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის მობილიზაციაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, კვლავაც შეუწყობს ხელს ქალთა მასების აღზრდას კომუნისტური იდეურობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

მეგობრული სალმით —

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა,

საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე.

# დაბადების დღე

1923 წლის სექტემბერი — საქართველოს ქალთა ჟურნალის დაბადება.

მას წინამორბედიც ჰყავდა — 1922 წელს დაარსებული „ამიერკავკასიის მაშვრალი ქალი“, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა სამ ენაზე გამოდიოდა.

„ჩვენი გზა“, „მშრომელი ქალი“, „საბჭოთა ქალი“ და ბოლოს „საქართველოს ქალი“.

ჩვენს ჟურნალს არც მარტოოდენ ერთი სახელი ჰქონია, არც ერთი მთლიანი, განუწყვეტელი სიცოცხლე, ყველაზე დიდი წყვეტილი კი, მის არსებობაში, 1939 წელს დაიწყო, როცა ქალთა ჟურნალის მისია, რატომღაც დამთავრებულად იქნა მიჩნეული.

მაგრამ ცხოვრებამ კვლავ წამოჭრა ჟურნალის აღდგენის საკითხი. ეს იყო 1957 წელს.

ჟურნალის პირველი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგეები: ლიდა გასვიანი, ვარო ჯაფარიძე, თამარ ადამიძე, სონია თალაკვაძე, ფენია გეგეშიძე, სუსანა შავერდოვა, ნინო ალაჯალოვა და სხვები. ჟურნალის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მამია და მარიამ ორახელაშვილები, კარლო ორაგველიძე, ლევან ღოღობერიძე, მიხეილ კახიანი, გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

„ჩვენი გზა!“ რა შესანიშნავადაა გადმოცემული ამ სახელწოდებაში ქალთა ჟურნალის არსი! ახალი ცხოვრების დიდ მაგისტრალზე მამაკაცის მხარდამხარ მიმავალ ქალს — მებრძოლს, მშენებელს, მოღვაწეს და ამავე დროს დედას — მშობელსა და აღმზრდელს, მართლაცდა სათავისო, საქალო გზა და ამოცანებიც გააჩნია.

ხოლო ჩვენი ჟურნალის 50-წლოვანი გზა ეს არის საინტერესო და შინაარსიანი გზა მათი, ვინაც თავისი ნაყოფიერი ცხოვრების დაისს მიაღწია და ვისაც დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ვიგონებთ, ან ვეტერანებს ვეძახით; მათი, ვინაც დღეს თავისი ცხოვრების ზენიტშია და მათიც, ვინაც ჯერ მხოლოდ პირველი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და ხვალინდელი ქალი ჰქვია.

ვფურცლავთ ჟურნალებს და მათი ფერგაცრეცილი გვერდებიდან შემოგვყურებენ სახეები რევოლუციისათვის მებრძოლი, ქალთა განყოფილებებში მომუშავე, თუ პირველი ხუთწლედების მშრომელი ქალებისა.

ამ სუსტმა მხრებმა ზიდეს დანგრეული, მოუწყობელი ქვეყნის სიმძიმე. ესენი იდგნენ მამაკაცების გვერდით ახალი ცხოვრების შენების სათავეებთან, აგებდნენ ჰესებს, ფაბრიკა-ქარხნებს, ტეხდნენ ყამირს, აშრობდნენ ჭაობებს, გაჰყავდათ გზები...

ესენი მიაბიჯებდნენ თავიანთი მამების, ძმების, მეუღლეების მხარდამხარ სამამულო ომის ცეცხლოვან გზებზე...

ესენი ცვლიდნენ გმირული შრომით ომში წასულებს...

ესენი ეძიებდნენ და ეძიებენ, იკვლევდნენ და იკვლევენ, ჰქმნიდნენ და ჰქმნიან...

ესენი მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ, იმარჯვებდნენ და იმარჯვებენ გონებისა და ოსტატობის საერთაშორისო ასპარეზობებში ჩვენი ქვეყნის სახელისა და ღირსებისათვის...

თუ ათეული წლების წინ, საბჭოთა საქართველოს მშენებლობის პირველი ხუთწლედის საფეხურებს ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ნაბიჯებით მიჰყვებოდნენ პირველი სტახანოველები, დღეს ყოველდღიურობად იქცა შრომითი გამარჯვებების მაუწყებელი „სოციალისტური შრომის გმირის“ ანდა სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის ამა თუ იმ დარგის დამსახურებული მუშაკის თუ მოღვაწის საპატიო წოდება.

ყოველ ახალ დღეს მოსდევს ახალ-ახალი გამარჯვების ცნობები, ყოველ ახალ წელს — ახალ-ახალი სახელების ამობრწყინება. ათასობით ქ. სარსანიას, ე. ნატროშვილის, ე. გოლიაძის, ნ. აგამენაშვილის, მ. ფუნდუკიდის, ე. მაზანაშვილის, ე. ლავთაძის, ს. ბაზანდარაშვილის და სხვათა მემკვიდრენი, თ. ჟუჟუნიას, ტ. ჩხაიძის, ო. აივაზაშვილის, ე. სოლომონიას, ე. კოწიწაშვილის და სხვათა მიმდევრები ამყარებენ შრომით რეკორდებს საკოლმეურნეო ველებსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში. ათასობით ქალმა: მეცნიერმა, ხელოვანმა, მწერალმა, სპორტსმენმა, ექიმმა, მასწავლებელმა, ინჟინერმა, კულტურისა თუ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკმა გაითქვა სახელი გულმხურვალე, უანგარო, უმწიკვლო შრომით.

გასულმა, IX ხუთწლედის მესამე გადამწყვეტმა წელმა სოციალისტური შრომის გმირის ექვსი ახალი სახელი შეგვმატა: ა. ვოუბა, ნ. ჯინჭარაძე, გ. ქადეიშვილი, ე. გორგაძე, ბ. ლაგვილავა, ზ. ალხანიშვილი. წელს სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი, გრანდიოზული ამაღლების გეგმებითა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი ქალები თავგამოდებით ილვწიან ახალი მიჯნების მისაღწევად.

ოქტომბრის რევოლუციის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს ღრმად სწამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე გაიმარჯვებდა იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა მილიონობით ქალი. „ქალი მოწოდებულია იმისათვის, რათა აშენოს და მართოს“ — ამბობს დიდი ლენინი.

და მართლაც ათასობით ქალი აშენებს და მართავს ახალ ცხოვრებას. ქართველი ქალების გვერდით, ერთ დიდ ქართულ ოჯახში გულმხურვალედ შრომობენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ოლქის ქალები, საქართველოში მცხოვრები რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი თუ სხვა ეროვნების ქალები.

და ქალთა ჟურნალის მოვალეობაა იდგეს ამ შესანიშნავ ქალთა გვერდით შრომასა თუ ბრძოლაში, ოჯახის მოწყობასა თუ ბავშვთა მოვლა-აღზრდაში, იდგეს, როგორც მათი ერთგული მრჩეველი და მეგობარი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „საქართველოს ქალი“ მოწოდებულია იყოს კომუნიზმის მაღალ იდეათა პროპაგანდისტი, ზრდიდეს ქალთა მასებს დიადი მომავლის მშენებლებად, გულმხურვალედ ეხმაურებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებს, ყველაფერს, რაც მიმართულია ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების შემდგომი ამაღლებისაკენ, ქალთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს კპ ცკ-ის XIII პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქალთა აქტიურ, შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად საჭიროა შეუმსუბუქდეთ მათ საოჯახო საქმე, შეექმნათ ნაყოფიერი შრომის და კულტურული განვითარების პირობები და რომ ამ მიზნით უნდა გაფართოვდეს საბავშვო ბაგების, ბაღების, გახანგრძლივებული დღის სკოლების ქსელი, მკვეთრად გაიზარდოს საბინაო, განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამკურნალო, კვების, სავაჭრო დაწესებულებათა მშენებლობა.

ამოცანები დიდია და საპატიო. დიდია და საპატიო ჟურნალის წინაშე დასმული ამოცანებიც, და მათ შესრულებაში რედაქციის კოლექტივი ყოველთვის გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერას.

რამდენად აზერხებს ჟურნალი თავისი მისიის შესრულებას, ამისი განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია. ჩვენ კი გვახარებს, რომ წლების მანძილზე მისი ტირაჟი სულ უფრო იზრდება და „ჩვენი გზის“ 800 ეგზემპლარიდან „საქართველოს ქალის“ ტირაჟი 125.000-მდე ავიდა.

ტირაჟთან ერთად იზრდება ჟურნალის პრობლემატიკა და დანიშნულება-მოვალეობანი, რადგან ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება ჩვენი მკითხველის სულიერი სამყარო, მისი გონებრივი ჰორიზონტი და ესთეტიკური მოთხოვნილებანი.

თუ „ჩვენი გზის“ მიზანი იყო დაებრუნებინა ქალისათვის მისი მოქალაქეობრივი ღირსების შეგნება, შთაენერგა საკუთარ ძალთა რწმენა და ოჯახური კარჩაკეტილობიდან მზის შუქზე გამოეყვანა, თუ ქალები თავისი ჟურნალის პირველი ნომრების ფურცლებს ჯერ კიდევ გაუბედავად ანდობდნენ თავის სანუკვარ ნატვრას: ჰქონოდა სოფელს შუქი, გზა, წყალი, ჰყოლოდა ერთი ექთანი მაინც... ოცნებობდნენ წერა-კითხვის შესწავლაზე, საბავშვო ბაგა-ბაღზე, დღეს ჩვენი მკითხველი ახალ ამოცანებს გვიყენებს, თავისი ინტელექტუალური და პროფესიული ზრდის სიძნელეებიდან გამომდინარე ამოცანებს.

დიდი საზრუნავი გააჩნია „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივსა და მის სარედაქციო კოლეგიას. ამ ჟურნალიდან, როგორც ფართო სარკმლიდან, უნდა ხედავდნენ მკითხველები თავისი ცხოვრების ავ-კარგს, იყურებოდნენ კიდევ უფრო შორს — ეცნობოდნენ ვრცელ სამყაროს, იმდიდრებდნენ და იფართოებდნენ ცოდნას, უკავშირდებოდნენ მსოფლიოს ქალთა დიდ, საერთაშორისო მოძრაობას საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის.

ჟურნალი სამართლიანი მრჩეველი და დამხმარეც უნდა იყოს. ამიტომაა, რომ ჩვენი რედაქციის მცირერიცხოვანი კოლექტივი დიდი ყურადღებით ეპყრობა მშრომელთა წერილებსა თუ რედაქციაში მოსულ ადამიანებს, მთელი გულმხურვალებით ილვწის მათთვის მტკივნეული საკითხების მოგვარებისათვის, მიდის ფაბრიკა-ქარხნებსა თუ კოლმეურნეობებში, რესპუბლიკის ყველა კუთხეში ატარებს მკითხველთა კონფერენციებს, ითვალისწინებს მათს შენიშვნებსა თუ სურვილებს.




უკანასკნელ ხანს ჩვენს ჟურნალს, ისე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს, შეეხო განახლების სიოს ქროლვა — აივსო განახლებული წესის განმტკიცების სურვილითა და შეურიგებლობით ყველაფერი იმის მიმართ, რაც ჩირქს ცხებს, რაც შეურაცხყოფს ჩვენს ადამიანურ ღირსებას, ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ყველა ჯურის გადაგვარებულ ადამიანებს — სახელმწიფო ქონების დამტაცებელთ, ქურდებს, ლოთებს, სპეკულანტებს, სოციალისტური საზოგადოებისათვის ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენებს — მექრთამეობას, პროტექციონიზმს!

ჩვენი განახლებული ცხოვრების წესს, სულიერად განახლებული, ამაღლებული და განწმენდილი ადამიანები ესაჭიროება. ვიბრძოლოთ ამ წესის დამკვიდრებისათვის პირველყოვლისა ჩვენს ოჯახებში, ჩვენს სამუშაო უბნებზე.

წინ დიდი გზაა. დიდი პერსპექტივები...

აღვზარდოთ ადამიანები ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვასწავლოთ ჩვენს შვილებს შრომის სიყვარული და პატიოსნების ფასი, ჩავუნერგოთ ის წმინდა გრძნობები და მისწრაფებები, რისთვისაც ასე თავგამოდებით ვიბრძვით და ვილვწით.

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს ქალთა ჟურნალის დაბადების დღეს ჩვენ დაბლა ვხრით თავს მათი ხსოვნის წინაშე, ვისი გაზაფხული იყო უმზეო და ვისაც ცხოვრების გზაზე უდროოდ შემოაღამდა: პატივისცემით ვიგონებთ ჟურნალის ძველ რედაქტორებს, თანამშრომლებს და პირველ გამავრცელებლებს — ყველას, ვინც ოდესმე ილვწოდა ჟურნალის ავტორიტეტისა და პოპულარობისათვის; ვულოცავთ ჩვენს საერთო დღესასწაულს ჟურნალის უახლოეს მეგობრებს — ქალთა მოძრაობის ვეტერანებს; მადლობას ვუხდით ავტორებს, რომელთა შემოქმედება საინტერესოს ხდიდა ჟურნალს; მადლობას ვუხდით ჩვენს ერთგულ თანაშემწეებს — პოლიგრაფიის მუშაკებს; მადლობას ვუხდით კავშირგაბმულობის მუშაკებს — ჟურნალის ხელმოუღლელ გამავრცელებლებს.

და ბოლოს უდიდესი მადლობა თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო—ყველას, ვისთანაც გვაკავშირებს ათეული წლების სიყვარული და მეგობრობა.

დაე მრავალზე მრავალ წელს მდგარიყოს „საქართველოს ქალი“ თქვენს სამსახურში ჩვენი საერთო, სახალხო საქმის საკეთილდღეოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ძოწენიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

# გილოცავთ!

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის ნახევარი, რომელსაც ქალები შეადგენენ, თავისი სუსტი მხრებით გრძნობდა არათანასწორუფლებიანობის და ეკონომიურ-პოლიტიკური დისკრიმინაციის აუტანელ სიმძიმეს.

დღევანდელ ბურჟუაზიულ სამყაროშიც გრძელდება ქალის უუფლებობა და ჩაგვრა, რაც გამოხატულებას პოულობს ქალის შრომის ნაკლებად შეფასებაში მამაკაცთა შრომასთან შედარებით. ქალთა ასეთი დისკრიმინაცია ძირს უთხრის მუშათა კლასის შრომით პირობებს და ცხოვრების დონეს.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ცნობები: ქალის შრომის საათობრივი ანაზღაურება მამაკაცთან შედარებით 20 პროცენტით დაბალია, საავიაციო მრეწველობაში — 20-25 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობაში — 23-25 პროცენტით და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რასობრივი დისკრიმინაცია თავის საშინელ გამოხატულებას პოულობს ზანგი ქალების შრომის ანაზღაურებაში. მაგალითად, ომისშემდგომ წლებში ზანგი ქალის ხელფასი შეადგენდა თეთრკანიანი ქალის ხელფასის 84,5 პროცენტს, ხოლო თეთრკანიანი მამაკაცის ხელფასის — 18 პროცენტს.

სხვადასხვა თაობების მრავალი პროგრესული ადამიანი ოცნებობდა ქალთა თანასწორუფლებიანობაზე, ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნებოდა ქალთა დისკრიმინაცია. მაგრამ იცვლებოდა თაობები, საუკუნეები და ოცნება ოცნებად რჩებოდა.

მშრომელი ქალები მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ დემოკრატიული უფლებებისათვის, ბედნიერებისათვის. 65 წელი სრულდება იმ დღიდან, რაც სოციალისტი ქალების მეორე საერთაშორისო

ისინი
სხვადასხვა
დროს
რედაქტორობდნენ
საქართველოს
ქალთა
ჟურნალს

თამარ ადამიძე



ვარო ჯაფარიძე



მარიამ ორახელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციამ კლარა ცეტკინის წინადადებით დაადგინა ყოველ წელს აღენიშნათ 8 მარტი, როგორც ყველა ქვეყნის ქალების სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაული.

რევოლუციურ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ და ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის თავდადებით იბრძოდნენ: ნ. კრუპსკაია, მ. ულიანოვა, ე. სტასოვა და სხვა მრავალი ქალი. მათ მხარში ედგნენ ქართველი ქალებიც, რომლებიც მუშაობდნენ არალეგალურ სტამბებში, ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას და სხვ. ესენი იყვნენ: მ. ბოჭორიძე, ვ. ჯაფარიძე, ჯ. ხუტულაშვილი, ო. გაბუნია, ნ. ლომთათიძე და სხვები.

და აი, ოქტომბრის რევოლუციამ შესძლო მიეცა საბჭოთა ქვეყნის ქალებისათვის ბედნიერების გასაღები. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველ დღეებშივე გამოაცხადა მშრომელი ქალების თანასწორუფლებიანობა, რაც ფიქსირებული იყო 1918 წლის საბჭოთა კონსტიტუციით. „საბჭოთა ხელისუფლებამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ, მისი არსებობის პირველ თვეებშივე ფრიად გადამწყვეტი გადატრიალება მოახდინა კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც ქალს ეხება. საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდნენ“.

პირველივე საბჭოთა დეკრეტები ითვალისწინებდნენ ქალთა შრომის დაცვას, დედისა და ბავშვის ინტერესებზე ზრუნვას, ქალის, როგორც მშრომელის, მოქალაქის და დედის უფლებების განმტკიცებას.

როგორია დღეს ქალის ბედი ჩვენს ქვეყანაში?

რამდენიმე ციფრი, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, მრავლისმეტყველია. ამჟამად სკკპ რიგებში 8 მილიონი ქალია. პარტიის XXIV ყრილობის დელეგატთა შორის 1.204 ქალი იყო. სსრ კავშირის მე-9 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 475 ქალი, ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 31,3 პროცენტი. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში არჩეულია 2.045 ქალი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში — 1.139 ქალი, ხოლო ადგილობრივი საბჭოების 49.131 დეპუტატიდან 23.109 დეპუტატი ქალია, რაც რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში არჩეულთა 47 პროცენტია.

შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ 91 მოწვევის აშშ-ს კონგრესში არჩეულია მხოლოდ 11 ქალი, საფრანგეთის პარლამენტში — 12, გფრ-ის ბუნდესტაგში — 31 ქალი.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 50 მილიონი ქალი.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის, აგრეთვე დიდ სამამულო ომში გამოჩენილი გმირობისათვის საბჭოთა ქალებს გადაეცა 1.400 ათასი ორდენი და მედალი. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მინიჭებული აქვს 91 ქალს, ხოლო სოციალისტური შრომის გმირისა — დაახლოებით 3.400 ქალს.

ეს ყველაფერი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია და მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა.

რას წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქალი? ყოვლად უუფლებოს, დაბეჩავებულს. და ასეთი მდგომარეობა იყო რუსთაველის ქვეყანაში, რომელმაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში აღიარა ქალთა და კაცთა თანასწორობა, — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

რუსეთის ქალების ბედით შეწუხებულმა ჩერნიშევსკიმ ასე გამოხატა გულისწუხილი: „რა მართებული, ძლიერი, გამჭრიახი ჭკუით არის დაჯილდოებული ქალი ბუნებისაგან. კაცობრიობის ისტორია ათჯერ უფრო სწრაფად წავიდოდა წინ, ეს ჭკუა რომ უკუგდებული და ჩაკლული კი არ იყოს, არამედ მოქმედებდეს“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გასაქანი მიეცა ჩერნიშევსკის მიერ შექებულ „ქალის ჭკუას“. მას საშუალება მიეცა სწავლის, განვითარების. ქართველმა ქალებმა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს და დღესაც შეაქვთ სოციალისტური მშენებლობის საერთო წარმატებებში. ჩვენი რესპუბლიკის წინსვლა ეკონომიური და კულტურული განვითარების ყველა ფრონტზე წარმოუდგენელია იმ სახელოვანი ქალების გარეშე, რომლებმაც არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში.

დიდი სამამულო ომი მკაცრი გამოცდა იყო მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის და განსაკუთრებით ქალებისათვის, რომლებიც არა თუ ფრონტზე ისტუმრებდნენ ქმრებს, შვილებს, ძმებს, არამედ თვითონაც თავდადებით, შაშხანით ხელში, ექიმებად, მედიცინის დებად, მზვერავებად, პარტიზანებად მიდიოდნენ და მამაკაცებთან ერთად იცავდნენ სამშობლოს. სამარადისო დიდების შარავანდედითაა მოსილი გმირი პატრიოტი რუსი ქალიშვილების ზოია კოსმოდემიანსკაიას და ლიზა ჩაიკინას, აზერბაიჯანელი ზიბა ტარიევას, ყაზახი მაშუკ მამედოვას, ბელორუსი ვერა ვირვიჩის, ლიტველი მარიამ მელნიკაიტეს, ქართველი ზოია რუხაძისა და თინა იოსებიძის სახელები, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი მიჩქეფარე, ახალგაზრდა სიცოცხლე და სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოზე უყოყმანოდ მიიტანეს.

იმ საშინელ წლებში ქალები ჩარხებთან და ტრაქტორის სა-

ფეოდოსია გეგეშიძე



სონია თალაკვაძე



ნინო ჩარკვიანი



ოლია ნადირაშვილი



თეო აბაშმაძე



ქესთან, ქარხნებში და ფაბრიკებში, ყველგან თავდადებით შრომობდნენ ომში წასული მამაკაცების ნაცვლად, მათთან ერთად სჭედდნენ გამარჯვებას. სწორედ ჩვენს სასიქადულო ქალებს შეეხებათ მაქსიმ გორკის სიტყვები: „ხოტბა შევასხათ ქალს — დედას, ყოვლის მძლე ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს, უდედოდ არ იქნება არც გმირი, არც პოეტი... მსოფლიოს მთელი სიამაყე დედებიდან მოდის!“

ომის შემდგომ ხუთწლედებში ქართველმა ქალებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთი წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში განუყოფელია საქართველოს ქალების აქტიური, თავდადებული საქმიანობისაგან. ჩვენს მრეწველობაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სამშობიარო სახლების, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების არნახულმა ზრდამ განაპირობა ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის ფართო შესაძლებლობა. ისინი დღეს ახალი, პროგრესული საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში არიან. არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა თუ კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიც ქალები აქტიურად არ მონაწილეობდნენ. ბევრის მთქმელია ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატიდან 125 ქალია, რაც დეპუტატთა საერთო რიცხვის 31,2 პროცენტს შეადგენს. მათ შორის მეტი წილი მუშებსა და კოლმეურნეებზე მოდის.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა ისეთი მშრომელი ქალების სახელები, როგორიცაა: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირები: ეთერ სოლომონია, ვინარი სხულუხია, ტატიანა ჩხაიძე, ვენერა მამინეიშვილი, დალი წივწივაძე, ვერა ქემაშვილი, ალექსანდრა გამყრელიძე და სხვები. სოციალისტური შრომის გმირების არმია იზრდება. რესპუბლიკაში უკვე 401 სოციალისტური შრომის გმირი ქალია.

ქართველ ქალებს დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის დარგებში. ბევრი მათგანი აკადემიკოსია, პროფესორი, დოქტორი. ქსენია ბახტაძემ ჩაის ქართული ჯიშების გამოყვანაში ისეთ დიდ წარმატებებს მიაღწია, რომ ორი აკადემიის წევრი გახდა; არანაკლები გამარჯვებები აქვთ მოპოვებული ელენე მეტრეველს, ნინო ჯავახიშვილს, თინათინ წერეთელს, ქსენია სიხარულიძეს, ქეთევან ლომთათიძეს, თინათინ შარაძენიძეს, თინათინ მრევლიშვილს, მარიკა ლორთქიფანიძეს, დარია ბერეჟიანს, ელენე ნანობაშვილს და სხვებს.

საბჭოთა ქვეყანაში ქალი ისეთი შეუზღუდავი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი უფლებებით სარგებლობს, როგორც არსად. მარტო საქართველოს მაგალითზეც ნათელია საბჭოთა კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულების განხორციელება: „ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნენ მამაკაცების თანაბრად“. ამჟამად რესპუბლიკაში 74.470 კომუნისტი ქალია, მარტო თბილისში პარტიული ორგანიზაციის მდივანია 579 ქალი, და არა მარტო პირველადი ორგანიზაციების. ჩვენი სასახელო ქალები არჩეული არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ამავე ორგანოს პრეზიდიუმის მდივნად და წევრებად, მინისტრებად, ადგილობრივი და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებად და მოადგილეებად და სხვ. ახლანდელ, სსრ კავშირის მე-9 მოწვევის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში საქართველოდან არჩეული 47 დეპუტატიდან 11 ქალია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არნახულად გაიფურჩქნა და აყვავდა საქართველოს კულტურა, რაშიც დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა ქალებმა. ფართოდაა ცნობილი და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურეს: ვერიკო ანჯაფარიძემ, სესილია თაყაიშვილმა, ლეილა აბაშიძემ, ნინო რამიშვილმა, მედეა ამირანაშვილმა, მედეა ჯაფარიძემ, ნანი ბრეგვაძემ, სოფიკო ჭიაურელმა, ელენე ახვლედიანმა, ქეთევან მაღალაშვილმა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა და სხვებმა. სწორედ ამ გარემოებას გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როცა წერდა, რომ „კულტურის დონე ყველაზე მეტად ხასიათდება ქალის იურიდიული მდგომარე-




საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე — ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.



ქობულეთის რაიონის სოფ. გოგოლაურთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან გოგიტიძე.



სოციალისტური შრომის გმირი მეაბრეშუმე ოხანა აივაზაშვილი.



გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურ-ნეობა „დურიფშის“ მოწინავე მეჩაიე ზ. არძინბა.



ცხინვალის ქარხანა „ემალგამტარის“ მოწინავე მუშა მ. კუძიევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგრაფინა ულისაშვილი — ქიათურის რაიონის სოფელ რგანის მეაბრეშუმე, გმირი დედა (12 შვილი); მ. შენგელია — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი; ლ. ფედოროვა — აგარის შაქრის კომბინატის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი; თინა ქანტურია — წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი; ვ. კაკაბაძე-ლუდუშაური — კასპის რაიონი, სოფელი ლამისყანა, ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი; ე. გორგაძე — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, სოციალისტური შრომის გმირი; ნ. შელია — წალენჯიხის რაიონი, სოფელი საჩინო, გმირი დედა (18 შვილი).

ობით. ამ გამონათქვამში არის ჭეშმარიტების მარცვალი და ამ თვალსაზრისით მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას, მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს შეეძლო უმაღლესი კულტურული დონის განხორციელება და განახორციელა კიდეც".

საბჭოთა ქვეყანაში დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს დედა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ბედნიერი დედობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ამის დადასტურებაა ისიც, რომ მარტო საქართველოში დღეისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 2.300-ზე მეტ ქალს, ხოლო მრავალშვილიანობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 210.500-ზე მეტი დედა. ისინი ზრდიან თაობას, რომელიც იცხოვრებს და იშრომებს კომუნიზმის ეპოქაში.

ქალებს, საერთოდ, დიდი როლი ეკუთვნით ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ბევრის მთქმელია ის გარემოება, რომ საქართველოში 48 ათასამდე მასწავლებელი ქალია, რაც მასწავლებელთა საერთო რიცხვის 68,9 პროცენტს შეადგენს.

ჩვენი ქალები თავდადებით შრომობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება ექიმი ქალების რიცხვი. თუ 1956 წელს მათი რაოდენობა 7,2 ათასს აღწევდა, ამჟამად იგი 12 ათასს ჭარბობს, რაც ექიმების საერთო რიცხვის 66 პროცენტზე მეტია.

საბჭოთა ქალისადმი უდიდესი ზრუნვის მკაფიო გამოხატულება იყო საქართველოს სსრ შრომის კანონთა ახალი კოდექსის მიღება, რომელიც ითვალისწინებს ქალთა შრომითი უფლებების გაფართოებას და განმტკიცებას.

ამ პატარა მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს საბჭოთა ქალების როლი სოციალისტურ საზოგადოებაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვა მათი კეთილდღეობისათვის. ეს კარგადაა გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სარვამარტო მიმართვაში საბჭოთა ქალებისადმი, სადაც ნათქვამია: „სოციალიზმმა ძირფესვიანად შეცვალა ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში, უზრუნველყო მისი თანასწორუფლებიანობა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა დარგში. დაუსახა მას განათლების მიღებისა და ნიჭის გამომჟღავნების ფართო შესაძლებლობანი, შეუქმნა ბედნიერი დედობის პირობები. კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ყოველწლიურად გააუმჯობესოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, რათა მათ ჰქონდეთ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი თავიანთი ნიჭის გაფურჩქვნისათვის, ნაყოფიერი შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ბავშვების აღზრდისათვის".

მთელი მსოფლიოს ქალები ხედავენ საბჭოთა ქალების ბედნიერ ცხოვრებას. ისინი სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმს მათთვის მოაქვს მხოლოდ უუფლებობა, უმუშევრობა, სისხლისმღვრელი ომები. ამიტომაა, რომ ირაზმებიან დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად, მშვიდობის დასაცავად. მსოფლიოს 200 მილიონზე მეტი ქალი გაერთიანებულია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ბრძოლას. „ჩვენ არ გვსურს, რომ მოსპონ სიცოცხლე, რომელსაც ჩვენ ვიძლევით. ჩვენ არ გვსურს ომი!" — აი მსოფლიოს ქალთა დევიზი მშვიდობისათვის ბრძოლაში. ისინი მიესალმებიან და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისაკენ. სოციალისტური ბანაკი საბჭოთა ქვეყნის მეთაურობით მტკიცედ დგას მშვიდობის სადარაჯოზე; ლენინური სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ დასახა, წარმატებით ხორციელდება.

ყველა საბჭოთა ქალი სოლიდარობას უცხადებს კაპიტალისტური სამყაროს ქალებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის. საბჭოთა ქალების კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს კაცობრიობის ისტორიაში პირველი კოსმონავტი ქალი — ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, გამოხატავს მთელი საბჭოთა ქალების ნებას, მტკიცე მხარდაჭერას საზღვარგარეთელი დების ბრძოლისადმი ახალი ცხოვრების ასაშენებლად, რომელიც თავისუფალი იქნება ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან.

საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების 50 წლისთავზე მივესალმები ჩვენს სახელოვან ქალებს, რომლებიც ღირსეულად დგანან მე-9 ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის შრომით ვახტზე, რომლებიც ზრდიან ჩვენს მომავალს, ვუსურვებ მათ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს შრომაში, მტკიცე ჯანმრთელობას, უდიდეს ბედნიერებას და სიხარულს ცხოვრებაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОВЕТСКАЯ ЖЕНЩИНА

## გილოცავთ!

საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების 50 წლისთავის სახელოვანი იუბილეს გამო მხურვალედ მოგესალმებით, ძვირფასო კოლეგებო და გიძღვნით უგულითადეს მილოცვებს. ორმოცდაათი წელი სიმწიფისა და ტალანტის გაფურჩქვნის ასაკია და ჩვენ გვწამს, რომ „საქართველოს ქალი" ყოველთვის იქნება ისევე აქტუალური, ცოცხალი და მიმზიდველი. ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, ძვირფასო დებო, თქვენი მშვენიერი რესპუბლიკის ქალთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

თქვენი „სოვეტსკაია ჟენშჩინა"

# РАБОТНИЦА

## ძვირფასო დაო და თანამებრძოლო „საქართველოს ქალო!"

ამ ღირსსახსოვარი იუბილეს დღეებში მიიღე ჩვენი გულითადი მილოცვა. საქართველოს ქალთა ჟურნალის პირველი ნომერი ნახევარი საუკუნის წინ ეწვია მკითხველებს, უამბო მათ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებების შესახებ, მიუტანა პარტიის სიტყვა, ლენინის სიტყვა, მიუტანა მწვავე კლასობრივ შეჯახებათა სუნთქვა. ჟურნალი იცავდა ქალთა ჭეშმარიტ თანასწორუფლებიანობას, იბრძოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ჩასაბმელად. ჟურნალი მეგობრად და თანაშემწედ ექცა ახლადჩასახული ინდუსტრიის დამკვრელებს, რაბფაკების სტუდენტებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაქალებს, ინტელიგენციას. ქალთა ჟურნალის ფურცლები — ეს მატიანეა საბჭოების ძმურ ოჯახში თანასწორთა შორის თანასწორის — სოციალისტური საქართველოს განვითარებისა, მატიანეა ქართველ ქალთა ზრდისა. მრავალი მათგანის სახელი ხომ დღეს საქვეყნოდაა განთქმული!

ახალ ძიებებსა და ახალ წარმატებებს გისურვებთ!

თქვენი „რაბოტნიცა"

# КРЕСТЬЯНКА

## ძვირფასო კოლეგებო!

ჟურნალ „კრესტიანკას" რედკოლეგია და რედაქციის კოლექტივი გულითადად მოგილოცავთ „საქართველოს ქალის" რედაქციის თანამშრომლებს, ავტორებს და მკითხველებს ოქროს იუბილეს. საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ბრწყინვალე მატიანეა საბჭოთა საქართველოში ახალი ცხოვრების შენებისა და მკითხველ ქალთა კომუნისტური აღზრდისა. ამ მატიანეში მრავალი სასახელო ფურცელი ჩასწერეს საქართველოს მშრომელმა ქალებმა, რომელთა დიდებულ შრომით მოღვაწეობაზე შთაგონებით გვიამბობს თქვენი ჟურნალი.

სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, იუბილეს და გისურვებთ ახალ შემოქმედებით მიღწევებს თქვენს საპატიო, კეთილშობილურ საქმიანობაში.

თქვენი „კრესტიანკა"

### ჩვენო კოლეგებო!

მთელი გულით ვულოცავთ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივსა და მკითხველებს საქართველოში ქალთა ჟურნალის დაბადების 50 წლისთავს.

უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის თქვენს ჟურნალს წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლაში, ქალთა განთავისუფლებაში, მათი სულიერი არსის ფორმირებაში, გვიხარია, რომ დღეს ქალები მამაკაცებთან თანაბრად ხელს უწყობენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების შემდგომ აღმავლობას.

ჟურნალი „საქართველოს ქალი“ მეგობარი და მრჩეველია ქალებისა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას.

ნება მოგვეცით, ძვირფასო მეგობრებო, გისურვოთ თქვენ და თქვენს მკითხველებს მრავალი მიღწევა შრომაში, ჯანმრთელობა და მხნეობა პირად ცხოვრებაში.

ჟურნალ „ჟენატა დნესის“ რედაქცია.
სოფია.

### ქართველო დებო!

საქართველოს ქალთა ჟურნალის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით გულთბილად მივესალმებით „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივს, სარედაქციო კოლეგიას, მკითხველებს.

გისურვებთ ახალ წარმატებას თქვენს მუშაობაში, დედასამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „ზვერჩადლოს“ მთავარი რედაქტორი
კრისტინა მოიკოვსკა.
ვარშავა.

### „საქართველოს ქალის“ რედაქციას!“

თქვენს იუბილესთან დაკავშირებით, გისურვებთ ძვირფასო კოლეგებო, დიდ შემოქმედებით წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ჟურნალ „რაბოტნიჩკას“ რედაქცია.
სოფია.

### ძვირფასო მეგობრებო!

ნება მოგვეცით, პირადად ჩემი და ჩვენი რედაქციის მუშაკების სახელით მოგილოცოთ თქვენი ქალთა ჟურნალის დაბადების 50 წლის დღესასწაული.

უნგრელმა მკითხველებმა იციან თქვენი ჟურნალის ღვაწლი ახალი საბჭოური ცხოვრების შენების საქმეში. სარედაქციო კოლეგიის სახელით მხურვალედ მოგესალმებით და გისურვებთ დიდ მიღწევებს თქვენს საქმიანობაში, ჯანმრთელობასა და გამარჯვებას პირად ცხოვრებაში.

მხურვალე მეგობრული სალამით —

ჟურნალ „ნეკ ლაპიას“ მთავარი რედაქტორი ირენ ნემეტი.
ბუდაპეშტი.

დღეს მოწინავის მიჯნა
ხვალ თითოეულის მიჯნა

# ნოვატორი

ნარკვევი

ცისანა ჯიქია ერთ-ერთი მოთავეა იმ შესანიშნავი თაოსნობისა, რომელიც რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში წარმოიშვა. „დღეს მოწინავის მიჯნა — ხვალ თითოეულის მიჯნაა“.

ცისანა ჯიქია ამ სამიოდე წლის წინ მოვიდა ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საქსოვ საამქროში. იგი მოწინავე მქსოველს ქეთევან მენთეშაშვილს მიამაგრეს. ცისანამ პირველსავე დღიდან გამოავლინა განსაკუთრებული ნიჭი, საქმის სიყვარული, სწრაფად აითვისა ქსოვის ტექნიკა და აი, სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ დამოუკიდებლად დააყენეს დაზგასთან. ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული — საამქროში მუშახელი არ ჰყოფნიდათ, დაზგა ცდებოდა. ცისანა თავიდან ერთ დაზგას ემსახურებოდა, შემდეგ კი ორი, სამი, ოთხი და ბოლოს 5 დაზგა ჩააბარეს. ეს კი მოწინავის მიჯნა გახლდათ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ცისანა ჯიქია ყველა მარკის ქსოვილის ქსოვის ტექნოლოგიას თანაბრად ფლობს, მას მინიჭებული აქვს თვითკონტროლის უფლება.

მრავალდაზგოსანი ქალისათვის თვითკონტროლის, ანუ, როგორც იტყვიან, საკუთარი დამღის ტარების უფლება მეტად საპატიო საქმეცაა და რთულიც. დაზგები ერთმანეთისაგან საკმაო მანძილითაა დაცილებული. სანამ პირველი დაზგიდან ბოლო, მეხუთე დაზგას მიაღწევდე, პირველ დაზგაზე შეიძლება ორი-სამი მეტრი წუნდებული ქსოვილი გაიპაროს. აი, იქ არის მქსოველის სიმარჯვე და ალღო საჭირო. ცისანა კი, როდესაც ერთი დაზგიდან მეორეზე გადადის, ითვალისწინებს რა მარკის ქსოვილია დაზგაზე და როგორი ხარისხისაა საქსოვი ძაფი. მაგრამ ალღო და სისწრაფე ყოველთვის როდი შველის საქმეს. ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევაც — შეიძლება ორ და ზოგჯერ სამ დაზგაზეც ერთდროულად გაწყდეს ძაფი. მაშინ ცისანა იძულებულია გააჩეროს დაზგები. იგი სწრაფად არღვევს უხარისხო მონაქსოვს და ხელახლა ქსოვს.

რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში პროდუქცია ნაკლები რაოდენობით გამოდის, მაგრამ წუნდებული პროდუქციის გაშვება უფრო მეტი დანაშაულია. საკუთარი კონტ-



გუგული ქადეიშვილი — მეჩაიე,
სოციალისტური შრომის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერიკო ანჯაფარიძე — ჩვენს ვრცელ სამშობლოში ფართოდაა ეს სახელი ცნობილი. ქართული თეატრის სცენაზე მან მთელი ეპოქა შექმნა, ეპოქა კეთილშობილი მშვენიერებით სავსე.



მისი ხელწერა ფერწერაში, მისი ფერები. — ერთის ნახვითვე ამახსოვრებს ადამიანს თავს ელენე ახვლედიანის ტილოები მთელი საგანძურია ქართული ხელოვნებისათვის.

ნონა გაფრინდაშვილი — ჭადრაკის დედოფალი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი.



ელისო ვირსალაძე — პიანისტი, მრავალი მუსიკალური კონკურსის ლაურეატი, მრავალი ჯილდოს მფლობელი.



ანა კალანდაძე — მისი სახელი ქართული პოეზიის სიამაყეა, ქართული პოეტური სიტყვის ზეიმია. მაღალი შთაგონებით გვხიბლავენ მისი ლექსები



მაყვალა მრევლიშვილი — რუსთაველის პრემიის ლაურეატი თანაბრად ძვირფასია მისი სახელი ჩვენი ბავშვებისათვის, მათი მშობლებისათვის, აღმზრდელებისათვის. მისი მშვენიერი საბავშვო ლექსები, მისი ლირიკული კრებულები ყოველთვის ხიბლავს მკითხველს



ამ ბოლო წლებში ჩვენი სულიერი ყოფა მისი ხმის გარეშე წარმოუდგენელია თითქოს. მღერის ნანი ბრეგვაძე! — და ერთნაირი გატაცებით ვუსმენთ ყველა. წელს ნანის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მაღალი წოდება მიენიჭა



ლიანა ისაკაძე — გამოჩენილი მევიოლინე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.





ნათელა ვასაძე — პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.



ეთერ გუგუშვილი — შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი



1944 წლის აპრილში გესტაპოს ჯურღმულებში ფაშისტებმა წამებით მოკლეს სამშობლოსათვის თავდადებული ქალიშვილი, პარტიზანი ზოია რუხაძე

ზოია რუხაძე
მოქანდაკე ამირან ბილანიშვილი

როლით მომუშავე არც ერთი მქსოველი არ დაუშვებს, რომ მისი ნაწარმი ქარხნისათვის რეკლამაციის მიზეზი გახდეს, მით უმეტეს ცისანა ჯიქია, რომელმაც კარგად იცის, თუ რას ნიშნავს მუშის სინდისი და პატიოსნება. ცისანამ საამქროში პირველმა გამოუცხადა ბრძოლა წუნს.

დაუგავპილსის საქალაქო გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა ცისანას სურათი. წერილში კი — „ქსოვის ჯადოქარი საქართველოდან" — კორესპონდენტი წერდა: „ცისანა ჯიქიამ, როგორც თავისი საქმის ნამდვილმა ოსტატმა, თავი ისახელა ჩვენს ქალაქში ამას წინათ გამართულ საკავშირო კონკურსზე, რომელიც ქიმიური ბოჭკოს საწარმოთა მუშებს შორის „პროფესიაში საუკეთესოს" საპატიო წოდების მოსაპოვებლად გაიმართა. ქართველმა მქსოველმა გამოავლინა მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ქსოვის შესანიშნავი ხელოვნება და უნარი და ამ დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა, დაიმსახურა სპეციალური დიპლომი და სამკერდე ნიშანი, რომელსაც ამშვენებს წარწერა — „პროფესიაში საუკეთესოს".

ეს ამბავი წელს მოხდა. შეჯიბრების დღეს ცისანა ღელავდა, ჟიური მეტად კომპეტენტური და კვალიფიციური იყო, მქსოველს უნდა ცოდნოდა არა მარტო ის, თუ როგორ უნდა მოუაროს თავის სამუშაო ადგილს, არამედ დაზგების ტექნიკური აღჭურვილობაც, შრომისა და ხელფასის კანონმდებლობაც და მრავალი სხვაც. ცისანა ჯიქიამ ასახელა თავისი კოლექტივი, მან თეორიაში უმაღლესი ნიშანი დაიმსახურა, ხოლო, როდესაც საქსოვ დაზგასთან დააყენეს, ის უკვე თავის სტიქიაში იყო.

— მხოლოდ ეს არის, — ამბობს იგი, — იქ სულ სხვა ტიპის საქსოვ დაზგაზე სულ სხვა მარკის ქსოვილის მოქსოვა მომიხდა. ამან ერთგვარად გამირთულა საქმე, მაგრამ მერე მალე ავუღე ალღო საქმეს. ერთდროულად ხუთ დაზგას ვემსახურებოდი, ამასთან უნდა დამეცვა კონკურსის ყველა პირობა და პროდუქციაც საუკეთესო ხარისხის ყოფილიყო. კონკურსის სხვა მონაწილენიც კარგი სპეციალისტები აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მასპინძელი გალინა როგოლევა. იმ დღეებში მისგან და სხვებისაგანაც ბევრი კარგი და სასარგებლო ვისწავლე და რაც მთავარია, მრავალი გულითადი მეგობარი შევიძინე.

დაძაბულ პაექრობაში ასახელა ცისანა ჯიქიამ თავისი კოლექტივი, თავისი ქარხანა და საამქრო. იმ დღეს გაიგეს დაუგავპილსელმა, ჩერნიგოველმა, ვოლჟსკელმა თუ ქვეყნის სხვა ქიმიური ქარხნების მქსოველებმა, რომ რუსთავში მათ ჰყოლიათ შესანიშნავი კოლეგა, რომლის ქსოვის ხელოვნება აღიარების ღირსი იყო.

ცისანა სამუშაოზე ნახევარი საათით ადრე ცხადდება. იგი ამ დროში ასწრებს დაზგების შემოწმებას. ნოვატორი მქსოველი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს სამუშაო ადგილის სისუფთავეს, გარდა იმისა, რომ სისუფთავეს მოითხოვს საწარმოს ესთეტიკა, მას უშუალო კავშირი აქვს პროდუქციის ხარისხთან. თუ ზეთი ილვრება, დაზგა ჭუჭყიანია, პროდუქციაც ისვრება, სხვა რომ არაფერი, ნამუშევარს პეწსა და ელფერს უკარგავს.

ცისანა ჯიქია 20 წუთს ანდომებს ხუთივე დაზგის გაწყობას და როდესაც ყველა დაზგა რიგზეა, სათითაოდ რთავს დანადგარებს, შემდეგ მეთვალყურეობას უწევს ქსოვის პროცესს, სადმე ძაფი არ გაწყდეს, თვალი არ გაეპაროს. ხუთი საქსოვი დაზგიდან, რომელსაც ცისანა ჯიქია ემსახურება, სამი განსხვავებული ტიპისაა, მათზე გეგმით უნდა მოიქსოვოს 600 მეტრი ქსოვილი. ცისანა კი გადიდებული სიჩქარით ამუშავებს დაზგებს და თითოეულზე 300 მეტრ ქსოვილს ღებულობს. დანარჩენ ორ დაზგაზე თითქმის ორმაგი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

1973 წელს მოპოვებული შრომითი წარმატებებისათვის სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ ცისანა ჯიქია საპატიო სიგელით და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშნით დააჯილდოვა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტ სიხარულს, დიდ შრომითს გამარჯვებებს იგი ხუთწლედის ამ განმსაზღვრელ წელს მოელის.

გ. ჯახუა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგონებათა ფურცლები



# 1923...

1923 წელი იდგა. გადავწყვიტე მუშაობა დამეწყო და სამსახურის ძებნას შევუდექი.

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე გავედი, ოპერის თეატრის პირდაპირ, სადაც ამჟამად წიგნის დიდი მაღაზიაა, გაზეთის გამყიდველის ხმა შემომესმა:

„ჟურნალი, ჟურნალი, ქალთა ჟურნალი".

მეგონა მომეჩვენა. მოვბრუნდი და გამყიდველს შევაცქერდი. მას მართლა ეჭირა ხელში ჟურნალი, რომელსაც ეწერა: „საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების ჟურნალი „ჩვენი გზა". ამ ამბავმა ძალზე დამაინტერესა. ჟურნალი ვიყიდე და კითხვა დავიწყე. შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევედი, ვიკითხე ქალთა განყოფილება, ღიმილით მომეგება პატარა ტანის ნათელთვალებიანი ქალი, ხელი ჩამომართვა და სკამზე დამსვა.

მე აღტაცებულმა ვუამბე, თუ როგორ გამახარა ქალთა ჟურნალის გამოსვლამ. ჟურნალი გავშალე და ზოგი რამ მოვიწონე, რამდენიმე შენიშვნაც გამოვთქვი. იგი დაკვირვებით შემომცქეროდა და ერთხელაც არ შევუჩერებივარ ლაპარაკის დროს.

წამოსვლისას მან მითხრა: — იცით რა, მე გადავწყვიტე ჩვენს ჟურნალში გამუშაოთ, თუ თქვენც თანახმა იქნებით. ხელფასი კარგია. ახლავე გაგაფორმებთ, — და რაღაც ჩაინიშნა. — ხვალიდან შეუდგებით მუშაობას, — დასძინა ბოლოს.

იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე თამარ ადამიძე იყო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა. სიხარულით ფეხზე არ ვიდექი. ასე მოულოდნელად სამუშაოს შოვნას სულ არ მოველოდი.

შევუდექი მუშაობას, შევადგინე მორიგი ნომრის გეგმა, ვესტუმრე ხელმძღვანელ ამხანაგებს: ფ. მახარაძეს, მ. ცხაკაიას, მ. ორახელაშვილს, ლ. ღოღობერიძეს, მ. კახიანს, ვთხოვე დაეწერათ ჟურნალისათვის წერილები. ისინიც სიამოვნებით დამთანხმდნენ. ეს წერილები მათ სურათებთან ერთად დაიბეჭდა ჟურნალში.

თამარ ადამიძემ ჟურნალის ახალი ნომერი სამდივნოში მიიტანა. როდესაც იგი ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხა კახიანმა მოიწონა, თამარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველას აჩვენებდა ჟურნალს და ჩემი მუშაობით კმაყოფილი იყო. ჟურნალში მუშაობისას გავიცანი ძველი ბოლშევიკი ქალები: ნინო ალაჯალოვა, ნ. გოლუბევა, სონია თალაკვაძე, სუსანა შავერდოვა.

ჟურნალს თამარ ადამიძე რედაქტორობდა, მაგრამ იგი ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე იყო და ბევრი საქმე ჰქონდა: სისტემატურად დადიოდა რაიონებში, ამოწმებდა ქალთა სადელეგატო კრებების საქმიანობას, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებებს, იწვევდა ქალთა კრებებს, ატარებდა საუბრებს, ფაქტიურად რედაქციაში თითქმის მარტო ვმუშაობდი. ტექნიკურ სამუშაოებსაც მე ვასრულებდი.

გარდა ჟურნალისა, მე ვთანამშრომლობდი გაზეთ „კომუნისტში", „ახალ სოფელში", „თეატრსა და ცხოვრებაში".

ქალთა ჟურნალში ვიმუშავე 8 წელი. სანამ არ დავწვრილშვილდი და პატარები არ გამიხდა საზრუნავი. რედაქციაში ყოფნის პერიოდიდან ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით მინდა მოვიგონო:

1924 წლის შემოდგომა იყო, ჩვენ სამუშაო მაგიდებთან ვისხედით. მოულოდნელად რაღაც ჩურჩული გაისმა. შემდეგ ხმამაღლა თქვეს: კლარა ცეტკინი გვესტუმრაო. დავინახეთ შუახანს გადაცილებული ქალი. მას უკრაინულად ნაქარგი ძალიან სადა და მოხდენილი კაბა ეცვა.

თანამშრომლები გარეთ გამოეფინენ. კ. ცეტკინმა ყველას ჩამოართვა ხელი. შემდეგ შეგვიძღვა ცენტრალური კომიტეტის მდივნის კაბინეტში. დაწვრილებით გვეკითხებოდა ჩვენს მუშაობაზე, მშრომელ ქალთა ცხოვრებაზე. ბოლოს, მე მომიბრუნდა, ალბათ როგორც ყველაზე ახალგაზრდას, და მკითხა, როგორ ვაშუქებდით მშრომელ ქალთა ცხოვრებას ჟურნალში, როგორ ეხმაურებოდნენ ამას ქალები.

კლარა ცეტკინის ჩამოსვლამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ალექსანდრა ჩხენკელი

---

უამრავ ადამიანთა შორის, ჩვენი ცხოვრების გზებზე რომ გვხვდებიან, ზოგიერთთან ბოლომდე ვინარჩუნებთ კეთილ ნაცნობობას, მეგობრობასაც, ბევრს ადვილად ვივიწყებთ მათი უსახობის გამო. ერთეულები მეტეორივით ჩაგვიქროლებენ, მაგრამ ზოგი მათგანი, გამორჩეული ადამიანური ღირსებების გამო, სულს სითბოთი და სინათლით აგვივსებს და ჩვენს ცნობიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებს. სწორედ მეტეორივით ჩაიქროლა ჩემს თვალწინ ერთმა ჭკვიანმა და მდიდარი ბუნების ქალმა, ჩაიქროლა, მაგრამ მაინც დამიტოვა მისი პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემის გაუნელებელი გრძნობა.

41 წლის წინათ ვნახე იგი პირველად, მაგრამ მგონია გუშინ მასთან ვიყავი... შუქიან თვალებს ოდნავ ჭუტავდა და წამღერებული ხმით მესაუბრებოდა.

...თბილისში ახლადჩამოსულმა სწორედ მასთან — თამარ ადამიძესთან დავიწყე მუშაობა სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკური გაზეთის რედაქციაში.

თამარი სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და ამ გაზეთის რედაქტორი იყო (ჩემი მეგზური მასთან მეორე არანაკლებ საინტერესო ქალი, პარტიული მუშაკი ოლია საბაშვილი* გახლდათ). ცოტა მეგულება ისეთი ადამიანი, ვისაც ისე ღრმად და წრფელი სიყვარულით უყვარდეს მისი შემცვლელი თაობა, როგორც თამარს უყვარდა. ძველი კომუნისტი, გამოცდილი პარტიული მუშაკი სულს არ იშურებდა ახალგაზრდებისათვის; მათთვის გზის გაკვალვა ცხოვრების გამორჩეულ მიზნად ჰქონდა დასახული.

ერთ დღეს თამარი მეძახის და მეუბნება: პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უნდა წავიდეთ, ქალთა სექტორის გამგე სონია თალაკვაძე გვიბარებსო. გამიკვირდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან სონია თალაკვაძეს.

— რამ შეგაშინა, ჟურნალ „მშრომელი ქალის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი განთავისუფლდა, სონია შემცვლელს ეძებს და შენი კანდიდატურა შევთავაზეო, — ღიმილით მითხრა მან.

ახლა კი ნამდვილად შევშინდი — ვაი თუ გამიჭირდეს, ვაი თუ თავი ვერ გავართვა საქმეს-მეთქი. უფრო მეტად კი იმან შემაწუხა, თამარის ნდობა რომ ვერ გავემართლებინა. რა გამოცდილება მე მქონდა!

სულ ნახევარი წელი ვიმუშავე და ისიც ამ პატარა, დარგობრივი გაზეთის რედაქციაში.

— უარი არა თქვა. მე ხომ ვიცი, შენ ეს საქმე გიყვარს. შეიძლება პირველ ხანებში გაგიჭირდეს, მაგრამ დაუძლეველი არაფერია. ახალგაზრდა ხარ, საზრიანობა არ გაკლია და ალღო. ბოლოს ჩემი მადლობელი იქნები, — დამარიგა თამარმა.

ასე შევუდექი მუშაობას ჟურნალ „მშრომელი ქალის" რედაქციაში 1933 წლის ნოემბერში.

წერილი ამ კარგი ქალის გახსენებით განგებ დავიწყე. ჯერ ერთი იგი ღირსია არ წაიშალოს მისი ხსოვნა და მეორეც — ლოგიკურადაც გამართლებულია: რომ თამარ ადამიძე არა, ქალთა ჟურნალის რედაქციაში ვერც მოვხვდებოდი და სათქმელიც არაფერი მექნებოდა.

ჟურნალის რედაქცია მაშინ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში იყო, რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ახლა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროა. ჟურნალს განთავისუფლებული რედაქტორი არ ჰყავდა, სონია თალაკვაძე რედაქტორობდა შეთავსებით. მალე ცენტრალურ კომიტეტში ქალთა სექტორი გაუქმდა და ჟურნალის რედაქტორად ნინო ჩარკვიანი დაინიშნა, ისიც შეთავსებით (ნინო ჯერ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში პიონერთა შორის მუშაობის განყოფილებას განაგებდა, შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში — სასკოლო განყოფილებას). რედაქციაში სულ ორი განთავისუფლებული მუშაკი ვიყავით: პასუხისმგებელი მდივანი და მასობრივი მუშაკი. არც გამომშვები გვყავდა და არც კორექტორი, არც მხატვარი და არც ფოტოკორესპონდენტი, ლიტმუშაკებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჟურნალი ყოველთვიური და 16-გვერდიანი იყო. ადგილებზე პირველ ხანებში ქალთა სექტორებს ვეყრდნობოდით, შემდეგ კი — სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსების თანაშემწეებს ქალთა შორის მუშაობის დარგში.

ეს იყო წლები, როცა სოფლად მტკიცედ იკიდებდა ფეხს კოლექტიური მეურნეობანი, როცა სამრეწველო საწარმოებში მკვიდრდებოდა სტახანოვური მოძრაობა. გასაგები მიზეზების გამო განსაკუთრებული ყურადღება სოფლისაკენ იყო მიპყრობილი, აქა-იქ ჯერ კიდევ ბოგინობდნენ კულაკობის ნაშიერები, მაგრამ მასობრივად ჩნდებოდნენ ახალი სოფლის ახალი ადამიანებიც, მათ შორის ქალები. ზოგიერთი მათგანი საკოლმეურნეო მშენებლობის სათავეებთან იდგა და მტერსა და მოყვარეს უჩვენებდა თუ რა დიდი ძალაა ქალი კოლმეურნეობაში. ქიონია სარსანიას, დარეჯან ტაკიძის, ქონა კილაძის, ცაცა ქარდავას, მარიკა ფუნდუკიდის, სოფიო ბაზანდარაშვილის, მართა პლიევას, თამარ ყუფუნიას, ტატიანა ტყებუჩავას, ლიუდი ხურციძის, ელპიტე გოლიაძის, პირველი ქართველი ტრაქტორისტი ქალის ელენე ნატროშვილისა და სხვათა სახელები ისმოდა მთელ რესპუბლიკაში. ცხადია, იმ წლებში, ჟურნალს არ გააჩნდა უფრო აქტუალური და მადლიანი ამოცანა, ვიდრე ამ ენთუზიასტ ქალთა შრომითი მამაცობის გაშუქება იყო.

ხშირად დავდიოდით რაიონებში არამარტო მასალების ორგანიზაციისათვის, ვიწვევდით სოფლის ქალთა კრებებს, ვაწყობდით საუბრებს თემებზე: რას აძლევს კოლმეურნეობა ქალს; ქალების როლი ახალი ცხოვრების შენების საქმეში და სხვ. ვსაუბრობდით სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის საკითხებზეც. ქალები უსმენდნენ ჩვენს ხმასა და რჩევას.

მახსოვს რედაქციის ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა ალექსანდრა ჩხენკელმა* და მე გორის რაიონის სოფლები მოვიარეთ, ვესაუბრეთ ქალებს. შემდეგ სამხრეთ ოსეთში გადავედით. ერთ საღამოს სოფელ ერედვში ქალთა კრება გვქონდა მოწვეული. მაშინ ტრანსპორტი ჭირდა. მანქანა სტალინირის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელობამ მოგვცა, თან მუშაკი გაგვაყოლეს. კრება საინტერესოდ ჩატარდა. ქალები აქტიურობდნენ. შუაღამე იყო, უკან რომ დავბრუნდით. დავეშვით თუ არა თავდაღმართში, რომლის იქით ხევი იწყებოდა, უცბად მანქანას საბურავები მოძვრა და ხრამში ჩაგორდა. ბედად ნაწვიმარი იყო და იმან გვიხსნა აშკარა დაღუპვისაგან — გადაბრუნებული მანქანა ტალახში ჩაეფლო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, კრების მიმდინარეობის დროს მოხულიგნო ელემენტებმა დრო იხელთეს და მანქანას ნაწილები დააძვრეს.

...რესპუბლიკა ალაპარაკეს სტახანოვის მიმდევრებმა. ისინი ჯერ ერთეულები იყვნენ, შემდეგ არმიად იქცნენ. პოპულარული გახდნენ ქართველი სტახანოველი ქალები: ეთერ მაზანაშვილი, ტატიანა ხარშილაძე, ქენია ზაქარეიშვილი, თამარ რისტომაშვილი, ელენე ლავთაძე, მარო ჩიტიძე, ნუნუ აგაშენაშვილი და სხვები. ჟურნალი მკითხველებს მოუთხრობდა მათი შრომითი შემართების შესახებ. სხვათა შორის, ნუნუ აგაშენაშვილი, ეს სიმპათიური, ჰუტათვალებიანი გოგონა, ლექსებსაც წერდა. ბევრს ვერაფერს ვიტყვი მათს მხატვრულ ღირსებაზე, მაგრამ ეს სადა ლექსები, რომლებშიც გადმოცემული იყო ახალი ცხოვრებით გამოწვეული სიხარული, გამოირჩეოდა გრძნობათა გულწრფელობით და ადგილსაც პოულობდა ჟურნალის ფურცლებზე (ნუნუ შემდეგ კომკავშირულ სამუშაოზე გადაიყვანეს. მალე უკურნებელი სენი შეეყარა და ადრე გარდაიცვალა). ასევე იბეჭდებოდა ლანჩხუთელი კოლმეურნე ქალის ვერა ბერეჟიანის ლექსებიც. იგი დროდადრო გვეწვეოდა ხოლმე რედაქციაში, ჩამოჰქონდა ახალი ლექსები და წერილები, გვიამბობდა თავისი სოფლისა თუ რაიონის ავ-კარგზე.

...იმ წლებში შეიმჩნეოდა ქალიშვილების მასობრივი ლტოლვა საჰაერო კლუბებისაკენ, გოგონები სწავლობდნენ თვითმფრინავის საჭის მართვას, ეუფლებოდნენ საპარაშუტო სპორტს. ჟურნალშიც ქვეყნდებოდა წერილები ქართველ მფრინავ ქალიშვილებზე: რუსიკო ჟორდანიასა და ნინო ხუბულავაზე, პარაშუტისტებზე: ნინო პუშჩინა-გელაშვილზე, კალერია ქათამაძეზე და სხვებზე.

ვცდილობდით ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს თავისი ასახვა ეპოვა ჟურნალის ფურცლებზე. თითქმის სისტემატურად იბეჭდებოდა რეცენზიები თეატრების სპექტაკლებზე. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ერთს დავასახელებ: 1937 წელს ერთდროულად ორმა თეატრმა — რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობისამ — დადგა შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან". ჟურნალში დაიბეჭდა რეცენზია ორივე სპექტაკლზე, მთავარი როლების შემსრულებლების — ვ. გოძიაშვილისა და ვ. ანჯაფარიძის წერილები და სპექტაკლებზე მუშა ქალების გამოხმაურებანი (სხვათაშორის, რედაქციას მუდმივი ადგილები ჰქონდა გამოყოფილი თბილისის თითქმის ყველა თეატრში).

ახლო ურთიერთობა გვქონდა მწერლებთან. ყველა მწერალი თუ პოეტი, ვისაც კი რედაქცია მიმართავდა, სიამოვნებით წერდა მოთხრობებსა და ლექსებს ჟურნალისათვის. მუდმივად თანამშრომლობდნენ: საფო მგელაძე, ლიდია მეგრელიძე, დარია ახვლედიანი, მარიკა მიქელაძე, ებრაელი მწერალი ქალი როზა თავდიდიშვილი. ისინი ხშირად გვეწვეოდნენ ხოლმე რედაქციაში, ინტერესდებოდნენ ჩვენი გეგმებით, ისმენდნენ ჩვენსას, გვირჩევდნენ თავისას. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ჩვენმა სასიქადუ-

---

* ო. საბაშვილი ამჟამად საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს ვეტერან ქალთა სექციის ხელმძღვანელია.

* მწერალი ქალი ალექსანდრა ჩხენკელი წლების მანძილზე რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო და დიდი ამაგიც დასდო ჟურნალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მწერალმა ქალმა ეკატერინე გაბაშვილმაც არაერთხელ დაამშვენა ჟურნალი თავისი მოთხრობებით, მოგვაწოდა მოგონებაც ილია ჭავჭავაძეზე. ილია ჭავჭავაძეზე წერილი დაგვიწერა ტიციან ტაბიძემაც. მოთხრობებს გვაწვდიდნენ პანტელეიმონ ჩხიკვაძე, სოლომონ თავაძე და სხვები, ლექსებს ბეჭდავდნენ მაყვალა მრევლიშვილი, ვერა შუბლაძე, მაშინ სულ ახალგაზრდა პოეტი ვლ. სულაბერიძე. არ შეიძლება არ მოვიგონო პატიოსანი, მუდამ რაღაცით აღფრთოვანებული მწერალი სეზმან ერთაწმინდელი: იგი თავისი პატარა მოთხრობებისა და ესკიზების თემად უმთავრესად კაპიტალისტური სამყაროს წყლულებს იღებდა. ამის გამო ხუმრობდნენ კიდეც მისი მეგობრები: სეზმანი საქართველოში ველარ ეტევაო.

ერთხელ მიხეილ ჯავახიშვილსაც მივმართე თხოვნით — მოთხრობა დაეწერა ჩვენთვის. დიდი მწერალი ელბაქიძის დაღმართზე ცხოვრობდა. გულითადად მიმიღო, როგორც ტოლს, ისე გამომესაუბრა.

— გეთაყვა, — მითხრა მან, — ახალ მოთხრობას ასე მალე ვერ დაგიწერთ. იქნებ, ინებოთ „ქალის ტვირთის" ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი თავი (მ. ჯავახიშვილის ამ რომანის ბეჭდვა მაშინ ჟურნალ „მნათობში" იყო დაწყებული).

უცბად მივეცი თანხმობა, შემეშინდა, უკან არ წაიღოს-მეთქი თავისი სიტყვა. ეშმაკურად ჩაიცინა, ალბათ ჩემი სულსწრაფობის გამო და თვალები აუციმციმდა.

წამოსვლა მინდოდა და არ გამომიშვა, საუბარი გამიბა, წამათამამა და მეც ჩემს თავს ნება მივეცი მისი ზოგიერთი გმირი ქალის მორალური სახე დამეწუნებინა, ხასიათის სიმართლეში ეჭვი შემეტანა.

— ჩემო კარგო, ქალი ხართ, მაგრამ, გატყობთ ქალის ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიას ცუდად იცნობთ. — და მან რამოდენიმე ცხოვრებისეული მაგალითი მოიგონა თავისი გმირების გასამართლებლად.

გავჩუმდი. ისედაც ვნანობდი, ბევრი შევბედე და დროც წავართვი-მეთქი.

გახარებული დავბრუნდი რედაქციაში. ღირსების საქმედ მიმაჩნდა ასეთი დიდი მწერლის ნაწარმოების გამოქვეყნება ჩვენს პატარა ჟურნალში.

ჟურნალს რიგითი ავტორებიც საკმაოდ ჰყავდა. თითქმის სისტემატურად იბეჭდებოდა მუშა და კოლმეურნე ქალების შენიშვნები და წერილები იმ დროისათვის აქტუალურ საკითხებზე. მასალებს გვაწვდიდნენ ქალთა შორის მომუშავე ამხანაგებიც.

ჟურნალი ეხმაურებოდა ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. თითქმის ყველა ნომერი, როგორც წესი, მოწინავე სტატიით იწყებოდა. გვქონდა მუდმივი რუბრიკებიც, მათ შორის — „წითელი საზღვრების იქით" და „ნარევი".

თავისი გარეგნული იერით ჟურნალი ყურადღებას ვერ მიიპყრობდა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ დროს პერიოდულ გამოცემათა გარეგნული გაფორმებით საერთოდ თავს ვერ მოვიწონებდით. თითქოს არ გვაკლდა ილუსტრაციები, მაგრამ მათი მხატვრული დონე დაბალი იყო.

...ბოლო წლებში ჟურნალის რედაქცია ძერჟინსკის ქუჩაზე გადავიდა, იქ, სადაც ახლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმია. ბინა მოგვცეს ჟურნალ „პარტიული მშენებლობის" რედაქციის გვერდით. ამ ჟურნალის რედაქცია, ჟურნალის რედაქტორის მოადგილე ქ. ჩარკვიანი გვეხმარებოდნენ რჩევა-დარიგებით, პრაქტიკულად. ჩვენ მემანქანე არ გვყავდა. მასალებს ხან ვის ვაბეჭდვინებდი და ხან ვის. როცა ვერავის ვიშოვიდი, მე თვითონ ვჯახირობდი. ქ. ჩარკვიანმა თავისი რედაქციის მემანქანე „გაგვიზიარა".

ბოლო წელს ჟურნალის რედაქტორად პარტიული მუშაკი ოლია ნადირაშვილი დაინიშნა (ნინო ჩარკვიანი პარტიის თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთი რაიკომის მდივნად აირჩიეს), მაგრამ ამის შემდეგ ჟურნალს დიდხანს არ უარსებია, 1939 წელს მისი გამოცემა დროებით შეწყდა.

**მირცა კალანდაძე,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.**

**1929 წ.**

ქალთა შორის მომუშავენი. სხედან (მარცხნიდან) ლ. ჯალაღანია, ლ. ანდრიაძე, ფ. გეგეშიძე, ლ. კიკაჩეიშვილი, მ. ბერიძე. დგანან: ა. არაბაჯიანი, თ. შერმადინი, ო. კიდაიში, ა. მატინიანი, ვ. ჯიქია, ლ. ბაბაიანი.



# ჩვენი თეო

მას ჰქონდა საოცრად მომხიბლავი ღიმილი და შუქიანი ცოცხალი თვალები. ხმა პირდაპირ გულიდან ამოდიოდა და ყელთან სადღაც ოდნავ ბოხდებოდა. ეს ღიმილი და ეს ხმა ყველას ახსოვს, ვინც კი თეო აბაშმაძეს იცნობდა. როცა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორად მუშაობდა, თარგმნა ილინას „მეოთხე სიმაღლე". ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო. ამ წიგნის გმირი ქალიშვილის გულია კოროლიოვასავით მასაც უყვარდა სიმაღლეებთან ჭიდილი, ახალი, ძნელად დასაძლევი საქმეებით გატაცება. მთელი თავისი სიცოცხლე მან ამ სიმაღლეების ასაღებად გამართულ ბრძოლაში გაატარა.

პირველი წრთობა იქ მიიღო, თავის მშობლიურ გურიაში, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებში. ახლაც ახსოვთ იქაურ ამხანაგებს, სულ ახალგაზრდა, გამხდარი, თმაშეკრეჭილი, ცოცხალი და მოძრავი თეო, როგორი დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა კომკავშირულ დავალებებს. იგი ყველას ხიბლავდა თავისი უშიშარი გულითა და გამჭრიახი გონებით. ავდარშიც გაბედულად გაუდგებოდა ხოლმე გზას ფერდობებზე შეფენილი სოფლებისაკენ და როცა მთებზე ნისლი ჩამოწვებოდა, ალღოთი მიიკვლევდა დაკლაკნილ ბილიკებს. იგი საუკეთესო პროპაგანდისტი იყო. ბევრს კითხულობდა, წერდა რეფერატებს, ლექსებს. მონაწილეობდა ლიტერატურულ გასამართლებებში. ასე ბეჯითად მუშაობდა საკუთარ თავზე სკოლის კომკავშირის უჯრედის მდივანი.

და აი, მის წინ ახალი სიმაღლე აღიმართა: 1924 წელი. აგვისტო. დილით, ადრე, მოულოდნელად ატყდა ზარების განუწყვეტელი რეკვა, რომელიც მთელ ოზურგეთში გაისმოდა. რატომ რეკდნენ ზარები ასე უდროოდ, ასე შეუწყვეტლივ? — გურიაში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდნენ ავანტიურისტები. მენშევიკებს უკვე აეღოთ ოზურგეთის შემოგარენი, სოფლები: დვაბზუ, მელექედური, ლიხაური... თოკებით შეეკრათ კომკავშირელები, დაეპატიმრებინათ სოფლის თავკაცები. სამაზრო კომიტეტისაკენ განუწყვეტლივ მიედინებოდნენ ახალგაზრდები. სასწრაფოდ იღებდნენ ხელში იარაღს და გარბოდნენ იქ, სადაც ხელჩართული ბრძოლები იყო გამართული. დაჭრილების დასახმარებლად მიეშურებოდნენ კომკავშირელი ქალიშვილებიც. „მარდი და საზრიანი თეო აბაშმაძე გამოირჩეოდა, — წერდა დვაბზუსთან გამართული ბრძოლის ხელმძღვანელი აკაკი ელენტი, — ის სწრაფად და მოხერხებულად უხვევდა დაჭრილებს ჭრილობებს. მძიმედ დაჭრილს კი წამოიკიდებდა ზურგზე, და ეს 15 წლის გოგონა ვეება ვაჟკაცებს ეზიდებოდა საექიმო პუნქტისაკენ. მენშევიკების ამ ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის და საბრძოლო დავალებების აქტიურად შესრულებისათვის თეო აბაშმაძემ მიიღო მადლობა".

დიდი დრო არ გასულა აგვისტოს გამოსვლების შემდეგ, რომ თეო კვლავ იწყებს ახალი სიმაღლისათვის ბრძოლას. ეწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწავლასთან ერთად ეწევა საზოგადოებრივ მუშაობას. ცეცხლოვანი სიტყვებით გამოდის კრებებზე, თათბირებზე, კონფერენციებზე. ირჩევენ ხელმძღვანელ კომკავშირულ თანამდებობებზე. მისი სახელი და გვარი საკმაოდ გახმაურდა. გულისხმიერი, თავმდაბალი და ყურადღებიანი თეო სტუდენტი ახალგაზრდობის საყვარელი ამხანაგი და მეგობარია. ულამაზესი სტუდენტური წლებიც მალე გაფრინდნენ. ისევ გურია. ისევ ჩოხატაური, ისევ ოზურგეთი, შემდეგ — პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მუშაობს პარტიული ხაზით და ყველგან მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი ამხანაგი.

და აი, მის წინაშე კვლავ ახალი სიმაღლე აღიმართა: დაიწყო დიდი სამამულო ომი. ამ მძიმე წლებში თეო აბაშმაძე ხელმძღვანელობს საქართველოს „რემედასის" ცენტრალურ კომიტეტს. აქ თვალნათლივ ჩნდება თეო აბაშმაძის ორგანიზატორული ნიჭი, მისი ფართო კაცთმოყვარე გული, მისი დიდი ოპტიმიზმი, ამტანიანობა. დაიწყო უძილო ღამეები, დაძაბული, მოუსვენარი დღეები ფრონტის მებრძოლებისათვის ამზადებს და აგზავნის უამრავ ამანათს, ხსნის თამბაქოს ფაბრიკას, საიდანაც თითქმის ყოველდღიურად იგზავნება სხვადასხვა მიმართულებით თამბაქოს ყუთები წარწერებით: — „დიდი სამამულო ომის მებრძოლებს, საქართველოს რემედასისაგან". აერთიანებს მქსოველ ქალთა ჯგუფებს და ფრონტის მებრძოლებისათვის იქსოვება და იგზავნება თბილი წინდები, ხელთათმანები. მებრძოლთა მიწურებიდან, სანგრებიდან, ჰოსპიტლებიდან საქართველოს „რემედასის" სახელზე ყოველდღიურად მოდის გულთბილი სამადლობელო ბარათები. ამავე დროს, დიდ მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევს მებრძოლთა ოჯახებს. ზაფხულობით მებრძოლთა ბავშვებისათვის ხსნის პიონერთა ბანაკებს, მოედნებს, ეხმარება საბავშვო სახლებს, სადაც შეკედლებული არიან უდედმამოდ დარჩენილი ევაკუირებული ბავშვები, ცდილობს არ მოაკლოს მათ დედობრივი სითბო და ალერსი. ომის პერიოდში საქართველოში იმყოფებოდნენ ფაშისტების მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან გამოქცეული ემიგრანტები. თეო არ აკლებდა მათ მზრუნველობას, მისი ურყევი რწმენა, ამ მძიმე ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისა, ამხნევებდა ანტიფაშისტ პოლიტიკურ ემიგრანტებს.

თეო ადვილად იკვლევდა გზას ადამიანთა გულებისაკენ. სწრაფად იმსახურებდა მათ ნდობასა და სიყვარულს. ის დიდი ადამიანური სითბო და დახმარება, რომელიც მან გაუწია ემიგრანტებს, აღწერილია მათ მიერ გამოგზავნილ სამადლობელო წერილებში: „თეო აბაშმაძემ ჩვენ ფეხზე დაგვაყენა, — წერენ რუმინელი ემიგრანტები. — მან ისეთი ამაგი დაგვდო, რომ მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. თეო ჩვენი გულის მესაიდუმლე და უახლოესი ამხანაგია".

ომის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ კვლავ მჩქეფარე ცხოვრება დაიწყო. ისევ ფართოდ გაიღო კულტურულ დაწესებულებათა კარები, აღდგა ბევრი გაზეთი და ჟურნალი.

და აი, თეოს წინაშე კიდევ აღიმართა ახალი სიმაღლე — იგი დაინიშნა ქალთა ჟურნალის რედაქტორად. თეოს ჭარბად ჰქონდა დაუცხრომელი ძიებისა და ახლის შეგრძნების უნარი, ემარჯვებოდა პერსპექტიული გეგმების მოხაზვა. ყოველთვის ითვალისწინებდა მრავალრიცხოვან მკითხველთა გემოვნებას, მოთხოვნილებას და ცდილობდა ჟურნალის ყოველ ახალ ნომერში თითოეულ მკითხველს ეპოვნა რაღაც საინტერესო, მეცნიერული სიახლენი იქნებოდა ეს, შრომითი მიღწევები თუ დისკუსიები მორალის საკითხებზე.

ჟურნალი „საქართველოს ქალი" თეოსთვის ცხოვრების მიზანი იყო: „ჩვენი ჟურნალი", „ჩვენი რედაქცია" „ჩვენი კოლექტივი", „ჩვენი სარედაქციო კოლეგია". მას ხშირად უხდებოდა ყოფნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში თათბირებსა თუ სემინარებზე, კონფერენციებსა თუ კონგრესებ-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ზე. და სადაც არ უნდა ყოფილიყო, ლენინგრადში იქნებოდა ეს, მოსკოვში, ვილნიუსში, ტაშკენტში თუ რიგაში ყოველთვის ახალი, საინტერესო საკითხებით და შთაბეჭდილებებით დატვირთული ბრუნდებოდა. ჟურნალში ჩნდებოდა ახალი რუბრიკები, განყოფილებები, თეო არაჩვეულებრივი ტაქტით და გულისხმიერებით მუშაობდა ავტორებთან. ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მწერალი, მეცნიერი, მხატვარი, კომპოზიტორი, ინჟინერი თუ აგრონომი ჩაება მუშაობაში. განუწყვეტლივ ზრუნავდა ჟურნალის ტირაჟის გაზრდაზე. როგორი გაბრწყინებული სახით განაცხადა მან საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების ორმოცი წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო სხდომაზე, ჟურნალის ტირაჟი 10.000-დან 60.000-მდე გაიზარდაო. რარიგ ცდილობდა ეს ზეიმი მასობრივი ყოფილიყო, ყველა მკითხველს მიეღო მონაწილეობა.

თეო იყო მრავალი საინტერესო ინიციატივის მოთავე. დაუვიწყარია რედაქციის გამსვლელი რეიდები, მკითხველებთან შეხვედრები ფაბრიკა-ქარხნებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, შორეულ რაიონებში. ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი შეხვედრა ჩატარდა 1965 წლის ზაფხულში მთა-თუშეთში; გაიმართა გულთბილი საუბარი, რა აკლდათ, რა სურვილები ჰქონდათ ომალოს, დიკლოსა და შენაქოს მკვიდრთ. თეო იწერდა მათ შენიშვნებსა და წინადადებებს. მკითხველებთან შეხვედრისას უაღრესად გულწრფელი და პირდაპირი იყო. ხშირად მიმართავდა ილიას სიტყვებით: — მოყვარეს პირში უძრახეო. მოითხოვდა მათგან ნაკლოვანებების მხილებას, შენიშვნებს.

მთა-თუშეთიდან რომ ბრუნდებოდნენ, გადაწყვიტა მომავალ წელს სვანეთში სწვეოდნენ ჟურნალის მკითხველებს. უახლოეს ხანში კი ენგურჰესის მშენებლებთან იყო შეთანხმებული ჟურნალ „საქართველოს ქალის“ კოლექტივის შეხვედრა. ამ შეხვედრისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდა.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა, თეო ბოლნისის გზაზე დაიღუპა ტრაგიკულად. რარიგ უყვარდათ და აფასებდნენ მას ჟურნალის მკითხველები. უამრავი ბარათებიდან გავეცნოთ ერთ-ერთს: — „მე ის არასოდეს მინახავს ცხოვრებაში, არც ფოტოსურათით, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩვენს ჟურნალს ჰყავდა კარგი რედაქტორი, რომელიც ყოველთვის გვთავაზობდა გემოვნებით გაფორმებულ ჟურნალს საინტერესო მასალებით“. ეს ბარათი ყვარლიდანაა. მკითხველების სახელით ხელს აწერს ნათელა ბექანიშვილი.

ასეთი იყო ჩვენი თეო, ბობოქარი და ცეცხლოვანი, იყო მშვიდი, იყო მკაცრად მომთხოვნი და პრინციპული, იყო უსაზღვროდ კეთილი, ალერსიანი. მისი გულის სითბო და სინათლე საგრძნობლად აშუქებს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ იმ ნომრებიდანაც, რომლებიც მისი რედაქტორობით არის გამოსული.

მარგო თომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა საბჭოები ჩვენი მხარდამჭერია



საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტთან არსებული ქალთა საბჭო მრავალი საინტერესო თაოსნობისა თუ ღონისძიების მოთავეა. საუკეთესო მუშაობისათვის მას 1972 წელს ჯილდოდ „მანდილი“ მიენიჭა. ჯილდოს მფლობელნი ახლაც ენთუზიაზმითა და გატაცებით მუშაობენ და ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ჩვენი რედაქციის მუშაკი **ნ. ბარათაშვილი** ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ნინო ლაკიას**, ქალთა შორის მუშაობის საბჭოს დაუზარელ მეურვესა და მზრუნველ ხელმძღვანელს, განვლილი ორი წლის მანძილზე საბჭოს მუშაობის შესახებ და მისცა კითხვა:

**— როგორც უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილმა ქალთა შორის მუშაობის საბჭოებმა სწორი და უნარიანი პარტიული ხელმძღვანელობის, პარტიული ორგანიზაციების მტკიცე მხარდაჭერის წყალობით მრავალი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებების ჩატარება შეძლეს.**

**თქვენი საქალაქო ქალთა საბჭო „მანდილის“ ერთ-ერთი მფლობელია და ვიცით, რომ მის წარმატებაში ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც უდევს დიდი წილი. რაში გამოიხატება კონკრეტულად თქვენი ხელშეწყობა, მხარდაჭერა?**

— მუშაობა, რომელსაც ქალთა საბჭოები ეწევიან, უდავოდ სასარგებლოა და მას დიდი სიკეთე მოაქვს როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკეული ოჯახებისათვის. ამიტომ ქალთა საბჭოებს პარტიული ორგანიზაციის მტკიცე მხარდაჭერა და ხელშეწყობა სჭირდებათ. თქვენ გაინტერესებთ, რაში გამოიხატება კონკრეტულად ჩვენი დახმარება? მოგახსენებთ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ბიუროს სხდომაზე იხილავს და ამტკიცებს ქალთა საბჭოს პერსპექტიულ სამუშაო გეგმებს, საქალაქო კომიტეტის განყოფილებები სისტემატურად ისმენენ საბჭოს ინფორმაციას ჩატარებულ მუშაობაზე და დახმარებას უწევენ საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტაში. საბჭოს ყველა საინტერესო წამოწყება ჩვენი ყურადღების ცენტრშია, მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობენ საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის ხელმძღვანელები.

უკანასკნელ წლებში საწარმო-დაწესებულებებსა და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში ჩვენ გავზარდეთ საბჭოების რაოდენობა, მისი წევრების რიცხვი. თუ 1970 წელს ქალთა საბჭოს ძირეულ ორგანიზაციებში — საბჭოებში — ირიცხებოდა 250-მდე ქალი, დღეს 66 საბჭო ითვლის 600-მდე წევრს. ეს საბჭოები პარტიის საქალაქო კომიტეტისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთსულოვან მხარდაჭერას გრძნობენ თავიანთ საქმიან წამოწყებათა განხორციელებაში.

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, პარტიის საქალაქო კომიტეტმა გადაახალისა ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა, მასში შეიყვანა ინიციატივიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების მქონე 17 მოწინავე ქალი. ახლადარჩეული თავმჯდომარეებისათვის ჩატარდა თათბირ-სემინარები, რომლებზეც ყურადღება გამახვილდა საბჭოების მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

როგორც საქალაქო, ისე ადგილობრივი საბჭოები ამჟამად უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მათი კულტურული დონის ამაღლების, დასვენების, ბავშვთა უზედამხედველობისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, კულტმასობრივი მუშაობის გაშლისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

ქალაქის სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან არსებული ქალთა საბჭოები ზრუნავენ ქალთა შორის დისციპლინის განმტკიცების, მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევების ჩანერგვისათვის.

ქალთა საბჭომ შეისწავლა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად შეიტანა საკითხი ელექტროტექნიკურ ქარხნებში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხის შესწავლამ ხელი შეუწყო ქარხნებში მძიმე სამუშაოზე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეტულ ქალთა მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანას. ჩვილბავშვიან დედებისათვის გამოიყო ცალკე სათავსო, მოეწყო ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახები, გაუმჯობესდა სასურსათო მაღაზიების მომარაგება კვების პროდუქტებით.

ქალთა საბჭოს ყურადღების ცენტრშია სკოლამდელებთან და მოზარდებთან მუშაობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა ქალთა საბჭოსთან არსებობს „საყოველთაო სწავლების საგუშაგოები", „მეგობართა საბჭოები", განმტკიცებულია კავშირი ბავშვთა ოთახებთან, ეწყობა ერთობლივი რეიდები უზედამხედველო და დანაშაულისადმი მიდრეკილების მქონე ბავშვების გამოსავლინებლად. აქტიური პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა წარმოებს სკოლიდან განთესვის საწინააღმდეგოდ.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქალთა საბჭოს ყურადღება მიაპყრო ქალაქში არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებს და დაავალა კონტროლი დაეწესებინათ იმ საწარმო-დაწესებულებების არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიებისადმი, სადაც დასაქმებულთა შვილები ჩადიან დანაშაულს.

ამ მიზნით შეისწავლეს მდგომარეობა წისქვილკომბინატში, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, სამკერვალო ფაბრიკასა და ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელ ქარხანაში. საბჭომ პარტიულ ორგანიზაციებთან და დირექციებთან ერთად ადგილებზე ჩაატარა მშობელთა კრებები, მკაცრი კონტროლი დაწესდა არასრულწლოვანთა მიმართ, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო.

ქალთა საბჭო ასევე დიდ დაინტერესებას იჩენს მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში ჩაბმულთა მიმართ, აწყობს რეიდებს მათი შრომითი საქმიანობისა და აკადემიური მოსწრების შესასწავლად.

ასეთმა ღონისძიებებმა ბევრი ახალგაზრდა ააცილა დანაშაულს, ბევრს შეუწყო ხელი შრომითი საქმიანობის სწავლასთან შეხამებაში.

ქალთა საბჭომ შექმნა სპეციალური ბრიგადები და შეისწავლა საცხოვრებელი მასივების სან-ჰიგიენური პირობები. ადგილებზე კომუნალური მეურნეობების განყოფილებებისა და სახლმმართველობების მონაწილეობით ჩატარდა კრებები, დაისახა ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. 1974 წლის 22 აპრილს ქალთა აქტივმა მონაწილეობა მიიღო საქალაქო ლენინურ შაბათობაში. დაირგო მრავალი ხეხილი, დეკორატიული მცენარე. 1974 წელს შეჯამდა წინა წელს ქალთა საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგები, რომელიც მოეწყო დევიზით — „ვინ უკეთ გაამწვანებს საკუთარ ეზოს და მის შემოგარენს". კონკურსმა მრავალი კეთილმოწყობილი ხეივანი, სკვერი, ყვავილნარი, ფანჩატური შემატა უბნებსა და კვარტალებს, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ქალაქი.

1973–1974 წლებში ქალთა საბჭომ მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა, რომელშიც ქალებთან ერთად სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა მამაკაცებმაც. დასამახსოვრებელი იყო შეხვედრები ომის მონაწილე ფოთელ ქალებთან, გამოჩენილ მწერლებთან, ჟურნალისტებთან.

ქალთა საბჭო თავის მუშაობაში გარკვეულ ადგილს უთმობს ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს, მტკიცდება ფოთელი და დაღესტნელი ქალების მეგობრობა, რომელსაც საფუძველი 1970 წელს ჩაეყარა დაღესტანში მომხდარ მიწისძვრებთან დაკავშირებით. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოიწონა რა ქალთა საბჭოს ინიციატივა, დაღესტანში მიავლინა საბჭოს წარმომადგენლები, რომლებმაც დაღესტნელ ქალებს დიდი მორალური და მცირედი მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს.

ქალთა საბჭოს ხშირად შემოაქვს წინადადებანი და შუამდგომლობანი პარტიის საქალაქო კომიტეტში და საქალაქო საბჭოს აღმასკომში ქალთა შრომითი მოწყობის, მარტოხელა დედების ბინებით დაკმაყოფილების, მრავალშვილიანებისადმი დახმარების გაწევის და სხვა საკითხებზე. აქ გულისხმიერად ეკიდებიან მის წინადადებებს, ეხმარებიან წამოყენებული საკითხების გადაჭრაში.

ქალთა საქალაქო საბჭომ, ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვეს. აღსანიშნავია ს. ორჯონიკიძის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხნის, ნავსადგურის, მე-5 საშუალო სკოლის, მუსიკალური სასწავლებლის, ფოთვაჭრობის და პურკომბინატის ქალთა საბჭოების მუშაობა, მათ უნარიანად ხელმძღვანელობენ ე. ანიკინა, ვ. ბირჩენკო, ლ. გადელია, ტ. დანელია, რ. სესკურია, ც. თუთბერიძე, რ. კანდელაკი და მ. გადელია, მათი უმრავლესობა კომუნისტია.

აღსანიშნავია, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ქალთა საბჭოებში მუშა ქალების და დიასახლისების ჩაბმას, რამაც მათი გააქტიურება გამოიწვია.

ქალთა შორის მუშაობის ენთუზიასტები არიან: სახალხო მოსამართლე ლ. აბუევა, სკოლის დირექტორები — ვ. შელია, ა. აბდუშელიშვილი, ინჟინრები — ნ. ქაჩუთია, ც. ჩაჩავა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე ლ. ნოდია, პედაგოგები — კ. ნადარეიშვილი, ლ. ქაჩიბაია, ნ. ბიბა, დიასახლისები — თ. ცომაია, მ. წურწუმია და სხვები.

ქალთა საბჭოს უნარიანად უძღვება და ხელმძღვანელობს პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი, მეორე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქეთევან კვაჭაძე.

მიმდინარე წლის სექტემბერში ფოთის ქალები შეიკრიბენ ქალთა პირველ საქალაქო კონფერენციაზე, დააჯამეს გაწეული მუშაობა, დასახეს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაშიც ხელისშემწყობი და ხელმძღვანელი კვლავაც იქნება ქალაქის პარტიული ორგანიზაცია.



თბილისი. № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალენტინა პისარევა.



თბილისის ფაბრიკა „კომკავშირელის" მოწინავე მქარგველი ოფელია მელქონიანი.



გარდაბნის რაიონის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი გულსანამ ალიევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხუთწლედი ოთხ წელიწადში

### სოფელი უტოლდება ქალაქს

# ტყვიავი

პირველი ადამიანი აქ რამდენიმე საუკუნის წინათ მოვიდა. იგი გამოექცა უსამართლობას და თავშესაფარს ტყეში ეძებდა. აქაური გაუვალი ტყე მან საცხოვრებლად აირჩია. მასავით ბედს დამდურებული ადამიანები სხვებიც აღმოჩნდნენ, მოვიდნენ და დასახლდნენ. მერე კი, როცა საფრთხემ ჩაიარა, როცა დევნისა და შეპყრობის შიში გაიფანტა, ტყის ბინადრებმა ასწლოვანი ხეები გაჩეხეს და ქოხები ჩადგეს. ცეცხლის კვამლი რომ ამოვარდა საკვამურიდან, ალბათ მაშინ თქვეს სოფლის ფუძემდებლებმა — „გავკაფე ტყიანი, დავარქვი ტყვიავიო“.

ამბობენ, ტყვიაველებს ტყვია-წამლის კეთებაც უსწავლიათ, ვინძლო მტერი მოგვიხდეს და საკადრისად დავხვდეთო. ტყვია-წამლის შესანახად მიწაში ვეება მარნები გაუთხრიათ. ამიტომ ჰქვია ტყვიავზე მიკრულ პატარა სოფელს დღეს მარანა. მტერი მართლაც გამოჩნდა. ლიახვის პირას დაცემულ ველზე დათარეშობდა საქართველოში შემოჭრილი უცხო ტომი. და ამიტომაც აგებდნენ ციხე-კოშკებს, ჭედდნენ ფარებსა და ხმლებს. ამ დროის მოწმეა ტყვიავში ქარელიანთ უბანში შემორჩენილი ციხე. იგი სამსართულიანი ყოფილა და მის მუხის კარებს სქელი რკინა ფარავდა. ციხის შიგნით ჭა და ქვევრები უკეთებიათ.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ფეოდალურ ხანაში სოფელი ტყვიავი ქსნის საერისთაოს ეკუთვნოდა. მე-19 საუკუნეში ტყვიაველი გლეხები გორელ ამილახვართა ყმებად ითვლებოდნენ. სოფლის მოსახლეობა სულს ლაფავდა: ცალკე ბატონს უხდიდა ბეგარას, ცალკე — ეკლესიას და ცალკე — სახელმწიფოს. სწორედ ტყვიაველთა ამ მძიმე მდგომარეობაზე წერდა 1894 წელს გაზეთი „ივერია“:

„ხალხი ძალიან შეწუხებულია სახელმწიფო ბეგარით და გადასახადით, უწინ მოკრეფილი და სადაც ჯერ არს არ წარდგენილი ფოსტის ფული გამოააშკარავა ახალმა დაწესებულმა სოფლის სამმართველომ და ხალხს რამდენიმე წლის დარჩენილი სახელმწიფო ხარჯი („ნედოიმკები“) სულ ერთბაშად დააწვა კისერზე. ზედ დაემატა წლევანდელი ხარჯი, ჩაფრისა და მამასახლისის ფული და ერთ ვაივაგლახში არიან. ბევრი გლეხკაცისაგან გამოჰყავთ უკანასკნელი ხარი და სახაზინო ვალში უყიდიან“. წერილს ხელს აწერდა ლადო კეცხოველი.

უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ტრადიციად დამკვიდრდა სოფელში. ტყვიავში არსებობდა არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები და ვრცელდებოდა მახლობელ სოფლებში. ტყვიაველ მებატონეებს შიშის ზარს სცემდა პარტიზანული ჯგუფი, რომელსაც გაბო ჩიხლაძე ედგა სათავეში. ტყვიავის მკვიდრია ცნობილი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი, რომლის ცხოვრება და ბრძოლა ნათელი მაგალითი იყო თანასოფლელებისათვის. ეს მიწურსახლებიანი სოფელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აღფრთოვანებული შეხვდა. ტყვიაველთა შეგნება უკვე მზად იყო სამოქმედოდ, ხოლო საამისო asპარეზი ახლა ეშლებოდათ.

ორკლასიანი სკოლა, სადაც საღმრთო რჯულსა და დედაენას ასწავლიდნენ გლეხის შვილებს, ოთხკლასიანმა სასწავლებელმა შეცვალა, რომელიც 1933 წლიდან საშუალო სკოლად გადაკეთდა. სოფელს თანდათან შემოემატა კლუბი, აფთიაქი, საავადმყოფო, სამკითხველო, ჩირის ქარხანა, სასადილო, კოოპერატივი. გავიდა დრო და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების ნაცვლად საფუძველი ჩაეყარა კოლმეურნეობას, ჯერ სახნავი მიწები გააერთიანეს ტყვიაველებმა, შემდეგ კი ხეხილის ბაღები. თავდაპირველი არტელი 17 გლეხს აერთიანებდა და პირველ თავმჯდომარედ ღარიბი გლეხი ვასო ჩიხლაძე ჰყავდათ.

ეს იყო 1927 წლის ოქტომბერში.

დაარსების პირველ წელს არტელის წევრებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს ერთი გუთანი, ექვსი უღელი ხარი, მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის თესლი.

1929 წელს არტელში 100 გლეხი გაერთიანდა, მათ სარგებლობაში იყო 860 ჰექტარი მიწა.

1930-1932 წლებში ტყვიავში სრული კოლექტივიზაცია ჩატარდა და კოლმეურნეობას „ახალი შუქი“ უწოდეს.

1939 წლისათვის კოლმეურნეობაში ითვლებოდა 481 კომლი 1.930 მცხოვრებით, კოლმეურნეობას კი 1.420 ჰექტარი მიწა ჰქონდა.

ომის დაწყების წინ ყველა ტყვიაველი კოლმეურნე იყო, კოლმეურნეობა კი გორის რაიონში მოწინავეთა რიგებში იდგა.

სამამულო ომმა დიდად შეაფერხა სოფლის განვითარება. ომმა მშვიდობიან შრომას მოსწყვიტა 377 მშრომელი, 148 ტყვიაველი კი სამუდამოდ გამოაკლდა თანასოფლელებს.

ომის შემდგომ კოლმეურნეობაში თანდათანობით მოიკიდა ფეხი მექანიზაციამ და მოწინავე აგროტექნიკამ.

თუ 1930 წლამდე პირველ ბრიგადას ჰქონდა 15 ჰექტარი ხეხილის ბაღი და ერთი გუთანი ექვსი უღელი ხარით, რომელიც სანახევროდ ვერ აუდიოდა საქმეს, 1930 წელს ბრიგადამ ძველ მაღლობზე 30 ჰექტარი ხეხილის ბაღი გააშენა და 30 ჰექტარზე ხორბალი დათესა.

დღეს პირველ ბრიგადას 38 ჰექტარი ხეხილის ბაღი და 50 ჰექტარი სახნავი აქვს, რომლის დასამუშავებლად იყენებს თანამედროვე ტექნიკას. ბრიგადა საშუალოდ ხეხილის ბაღის ყოველ ჰექტარზე 65 ცენტნერ ხილს იღებს, ყოველ ჰექტარ ნათესზე კი — 22 ცენტნერ ხორბალს.

დიდი წარმატებები აქვს მეორე, მესამე და მეშვიდე ბრიგადებს, და საერთოდ — კოლმეურნეობას იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების შედეგად, რაც ამ ბოლო ხანებში მოხდა: კოლმეურნეობაში მტკიცედ დამკვიდრდა შრომის ანაზღაურების პრემიალური სისტემა, რაც თავისთავად დიდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. პრემიალური სისტემა დაწესებულია გეგმის ზევით მიღებული პროდუქციიდან. კოლმეურნეები წარმოებული პროდუქციის გარკვეულ პროცენტს იღებენ მეჰარხლეობიდან, მეხილეობიდან, მებოსტნეობიდან, მეცხოველეობიდან. მათია აგრეთვე გეგმის ზევით მიღებული პროდუქციის 40-50 პროცენტი. გაიზარდა ერთი კაცდღის ღირებულება 1,69 მანეთიდან 4,03 მანეთამდე. დიდი ყურადღება ექცევა კომპლექსურ მექანიზაციას, ქიმიზაციას, მიწების მელიორაციას. კოლმეურნეობა სახელმწიფოსაგან ყოველწლიურად იღებს სულ უფრო მეტ ტრაქტორს, კომბაინს, ავტომანქანას, სასუქს, ზრდის კაპიტალურ დაბანდებებს სამელიორაციო საქმეში. შეგნებულმა შრომამ, ხელშემწყობმა პირობებმა, სახელმწიფოს ზრუნვამ განაპირობეს კოლმეურნეობის სიძლიერე, მშრომელი გლეხის სიმდიდრე. შეიქმნა სიუხვის და სიკეთის ყველა პირობა და სოფელი ქალაქს გაუტოლდა.

ტყვიავში ქუჩები და სოფლის შიდა გზებიც კი მოასფალტებულია, ღამით ლამპიონები ანათებენ კოხტად ჩარიგებულ, მყარად ნაგებ ოდა-სახლებს, ლამაზ კარმიდამოებს. სოფელი რადიოფიცირებულია, 30-ზე მეტი ოჯახი უყურებს ტელეგადაცემებს, თითქმის ყველა ოჯახშია მაცივარი, სარეცხი მანქანა.

სოფელი კეთილმოწყობილია. მისი მცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლებისათვის შექმნილია ყოველგვარი საყოფაცხოვრებო პირობა. ადამიანთა შრომითი წარმატებები დაედო საფუძვლად იმ სიკეთეს, რითაც დღეს სარგებლობენ ტყვიაველები. საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტურის სახლი, შამპანურის, წვენების ქარხნები, რძის გადამამუშავებელი ქარხანა, ხილის დამამზადებელი პუნქტი, პურის საცხობი, საყოფაცხოვრებო მომსახურების თითქმის ყველა პუნქტი: სამკერვალო, ფეხსაცმლის სახელოსნო, სამრეცხაო, საპარიკმახერო, ფოტოატელიე, საავეჯო და საზეინკლო სამქროები, 2 აბანო, უნივერსალური მაღაზია, ავეჯის, რკინეულობის, კულტსაქონლის, წიგნების მაღაზიები, ფოსტა, რადიოკვანძი, 50-საწოლიანი საავადმყოფო, 15-საწოლიანი სამშობიარო, აფთიაქი — ყველაფერი იმ 2.418 მშრომელის სამსახურშია, რომელთაც დღეს ტყვიაველები ჰქვია.

აი, როგორ გაუტოლდა სოფელი ქალაქს.

და სწორედ ამ სიკეთის საფუძველზე აღმოცენდა ის დიდი თაოსნობა, რომელმაც მთელი რესპუბლიკა აახმიანა და რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. სოფლის სახელისა და ღირსების დასაცავად, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყოველი პატიოსანი ტყვიაველის დევიზი გახდა. ტყვიაველები შეიკრიბნენ უძველეს პარკში, დღეს კულტურისა და დასვენების პარკის სახელწოდებით რომ არის ცნობილი და მშრომელთა ნამდვილი დასასვენებელი და გასართობი კუთხეა. აქ წარმოითქვა მგზნებარე სიტყვები — იბრძოლონ სოფლის მაღალი სახელისათვის, მისი უკეთ მოწყობისათვის.

სხვანაირად არც შეიძლებოდა, ისე თანდათან, ისე პროგრესულად და თანამედროვედ მოეწყო და გარდაიქმნა ტყვიავი; სხვანაირად არც შეიძლებოდა, ისე თანდათან გაიზარდა ტყვიაველი; ისე მომწიფდა მისი შეგნება, სულიერი სამყარო.

მარტო ის ფაქტი, რომ ტყვიავიდან ქართველ ინტელიგენციას შეემატა 20 ინჟინერი, 12 აგრონომი, 6 ექიმი, 42 მასწავლებელი, 4 გეოლოგი, 5 იურისტი, 7 ეკონომისტი, — სულ 96 სპეციალისტი, რომელთაგან 4 მეცნიერ-მუშაკია — თავისთავად ბევრს ლაპარაკობს. ტყვიავში დღეს ყველა ახალგაზრდას სურს სწავლა. ახალგაზრდები შრომობენ და უმაღლეს განათლებასაც იღებენ.

ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა ჩვენც ვნახეთ — ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის წევრი, კომკავშირელი ნელი ლაფაჩი, გავყევით მის კვალს და მისი შრომისა და ცხოვრების ზოგიერთი მომენტის მოწმენი გავხდით. მის მაგალითზე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ შრომობენ და ცხოვრობენ ტყვიავში, სადაც მოწინავე კოლმეურნეობაა, სადაც კოლმეურნეები დიდი გულისყურით ეკიდებიან ყველა კულტურას და კოლმეურნეობაში ყველა დარგი რენტაბელურია, სადაც წელს, ესე იგი ერთი წლით ადრე შეასრულებენ მეცხრე ხუთწლედს.

ლია კაკაბაძე











ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგალობელი

საოცარი ძალა გააჩნია გაზაფხულს — შემოგიჩნდება და რარიგ დაღლილიც არ უნდა იყო, შინ არ გაგაჩერებს. აი, ახლაც საქმე მიმატოვებინა, ხელი ჩამავლო, ფუნიკულიორის პლატოზე ამიტაცა და იქ ერთი მყუდრო კუთხე მომაძებნინა.

მაისის გამჭვირვალე საღამოა. ირგვლივ ხალასი სიმწვანე და ყვავილების ფერადოვნება.

ქვემოთ მოჩანს ჩამავალ მზის სხივებში გახვეული, გაზაფხულით ახმაურებული ქალაქი. მაგრამ აქამდე ოდნავ აღწევს მისი ხმაური.

როგორ გვჭირდება ხანდახან ეს მყუდროება, ასე განმარტოება საკუთარ თავთან, საკუთარ სულის სიღრმეში ჩახედვა, რომ რაღაც რიგითობა დაამყარო საგნებსა და მოვლენებს შორის, თვალი გადაავლო განვლილ გზას, დაინახო, რით გიცხოვრია და ისიც, რა გაგაჩნია, რითი აპირებ ცხოვრებას.

„ეს მერამდენე გაზაფხულმა ჩაიარა ჩემს თვალწინ და რა წაიღო, რა დამიტოვა?..“

... ფიქრი ახალგაზრდა ქალის მოსვლამ შემაწყვეტინა. იგი ჩემს პირდაპირ სკამძელზე ჩამოჯდა და უთუოდ ოცნებამ გაიტაცა. იშვიათად მინახავს ასეთი სრულყოფილი, ასეთი უზადო სილამაზე. მეუხერხულება, რომ თვალს ვერ ვაცილებ. მინდა, შევეკითხო ვინ არის, ვისი შვილი, მაგრამ იქნებ გარემო სილამაზით მოხიბლული — ლექსსაც თხზავს, ან სიმღერას იგონებს?

„რა კარგი რამ ხარ“.. ამოტივტივდა მეხსიერებაში შემორჩენილი ძველი საგალობელი.

რა კარგი რამ ხარ, ჩემო ქვეყანავ, გაზაფხულო, სიცოცხლეო, მაგრამ ყველაფერზე ულამაზესი შენ, ყველაფრის აზრო და დამამშვენო ადამიანო!

რა ბედნიერებაა, იჯდე აქ, ასე, ცხოვრების გზაგამოვლილი, ისვენებდე და სტკბებოდე გაზაფხულის ამ საღამოთი, ამ გარემოთი, ბუნების ამ მშვენიერი შვილის უნაკლო სილამაზით.

მაგრამ, აგერ, მას ტოლები მოუახლოვდნენ, იქვე ჩამოსხდნენ და მოხდა საოცარი მეტამორფოზა: საკმარისი იყო, „მშვენიერებას“ პირი გაეღო, რამდენიმე სიტყვა წარმოეთქვა, გაეცინა და... გაჰქრა მომხიბლაობის ილუზია: ვულგარული ლექსიკა, უშნო მანჭვა-გრეხა, უხეში სიცილი...

თითქოს ხელიდან გამვარდნოდეს და დამმსხვრეოდეს რომელიღაც დიდოსტატის ნატიფი ქმნილება, ისე შეშფოთებული, გულნატკენი გავშორდი იქაურობას.

...ვარსკვლავიანი ცა გადმოპირქვავდა გაჩირაღდნებულ თბილისზე. წაიშალა ცისა და მიწის ზღვარი და ოქროსფერ სივრცეში შეცურდა დედაქალაქი.

საოცრად ლამაზია ამ დროს, ამ პლატოდან ჩემი თბილისი. თითქო იღება საოცრებათა სამყაროს კარი და დედაქალაქის სული ათასობით ანთებული კელაპტრებით შემოგციმციმებს.

და მე ფიქრით ვხედავ მათ, ვინც შექმნა ეს სილამაზე: პროექტებზე თავდახრილ არქიტექტორებს, ხარაჩოებზე გასულ მშენებლებს — მათ, ვინაც ოცნებაში წარმოისახა და პროექტებში გადაიტანა დღევანდელი თბილისი, მათ, ვინც აჩუქურთმა და გააშუქა ქვა, ხე, ლითონი, ჩააქსოვა მათში მშვენიერებაზე ოცნება, სულისა და აზრის დიდი ენერგია.

ვხედავ იმ ადამიანსაც, რომელიც თავის პატარა ლაბორატორიაში ჩაკეტილი ღამეებს ათევდა, რომ ვარსკვლავების შუქი დაეჭირა და მინაში გამოემწყვდია, რომ შემდეგ დედამიწიდან ცას შეჯიბრებოდა.

... სადღაც, ჩემს ზემოთ თვითმფრინავმა გადაიქუხა. და ფიქრის თვალით ვხედავ მათ, ვინაც დაუოკებელი ოცნებით გატაცებულნი ეძიებდნენ პირველ „ფრთებს“, რომლითაც ზეაიტაცებდნენ ადამიანებს.

ვხედავ ჩვენი საუკუნის ყველა საოცრებათა შემოქმედთ და, მართალია, დროისა და სივრცის ამ მანძილიდან ვერ ვარჩევ მათი სახის ნაკვთებს, თვალების ფერს, მაგრამ მხიბლავს მათი განუმეორებელი სილამაზე, მათი შემართება, დაუოკებელი ფანტაზია და მგზნებარება.

... საოცრად ამაღლებული ლოცვა თუ ჰანგი ეუფლება მთაწმინდას, ხელს მხვევს და მშვენიერების სამყაროში შევყავარ — ფერმწერთა, მოქანდაკეთა, ხუროთმოძღვართა, მუსიკოსთა სამყაროში. და ყველგან ვხედავ ადამიანს: ლამაზს, ამაყს, მგზნებარე შემოქმედს, ადამიანს ყოვლისშემძლეს, ბუნების მბრძანებელს.

და ამ ლოცვაში დროდადრო იჭრება და ტკივილით მავსებს ამ რამდენიმე წუთისა თუ საათის წინ ნანახი სურათი ბუნების ფუჭად დაკარგული ენერგიისა და სილამაზისა.

ბუნება უხვია და კეთილი. ადამიანი, ბუნების სრულმყოფი, ადგენს ამა თუ იმ დროსა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესადარ სილამაზის კანონებს.

თუ ეკლესიას სჭირდებოდა სასიცოცხლო ძალებისაგან დაცლილი, ინერტული, საიქიო ცხოვრებისათვის გამზადებული ადამიანები, თუ კეთილ ცხოვრებას დაწაფებულ არისტოკრატის და ბურჟუის სილამაზის იდეალი იყო უნებისყოფო ქალი — თოჯინა, სალონის სამკაული, ხოლო მუსულმანურმა სამყარომ ჩადრის მიღმაც კი დამარხა ქალის ხორციელი და სულიერი სილამაზე, ჩვენს თანამედროვეთა მიერ „ხორცის გვემა“ იმდენად ჯანმრთელობის გაკაჟებაზე ზრუნვით არ არის გამოწვეული, რამდენადაც ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებით.

დღეს არა არის რა უფრო უსიამო, ვიდრე უღონო, უსიცოცხლო, ანდა პირიქით, მსუყე, კმაყოფილებით სავსე სახე ადამიანისა, რადგან მისი გარეგნული ფორმა ვერ ერწყმის საზოგადოების სწრაფვას სიმაღლეებისაკენ, დღევანდელი ცხოვრების რიტმს, რიტმს, რომელიც მოითხოვს აქტიურ, მებრძოლ, მოძრავ ადამიანს.

ისიც უდავოა, რომ ადამიანს არასოდეს ჰქონია ასეთი საშუალება ჰარმონიული განვითარებისა, საშუალება ბუნებისა და თანამედროვე კულტურის მიერ ბოძებული ყველა სიკეთით აქანდაკოს საკუთარი სული და სხეული. და არც ჩვენს ქვეყანას ჰყოლია ოდესმე ამდენი გამოჩენილი პიროვნება. ჩვენმა სოციალისტურმა წყობამ „აღმოაჩინა“ ათასობით ქალთა დიდი სულიერი ენერგია, დასაბამი მისცა უამრავ, ბრწყინვალე ბიოგრაფიას, ჩვენს თვალწინ ყოველდღიურობად იქცა ქალი შრომით განდიდებული, ქალი — გმირი, ხელოვანი, მეცნიერი, ნოვატორი, დამსახურებული მოღვაწე... და ყველა მათგანი გვხიბლავს, გვახარებს, გვეამაყება.

„მშვენიერება თვით უკვდავსა სულში მდგომარებს“ — ამბობს ბარათაშვილი და ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა ქმნილებებისგანაც ხომ ისეთები გადაურჩა დროის გამანადგურებელ ხელს, რომლებშიც ხელოვანმა შესძლო მიწვდომოდა მიუწვდომელს, დაეჭირა სულის ეს უკვდავება, გადმოეცა მისი შინაგანი თავისებურებანი, — მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, თავისთავადი, განუმეორებელი ესა თუ ის თვისება სულისა.

რამდენჯერ გავუოცებივართ ჩვენი რომელიმე ხანდაზმული ნაცნობის უბერებელ სიჭაბუკეს, რამდენჯერ მოვუხიბლივართ პიროვნებას, რომელსაც თითქოს ერთი შეხედვით მოსაწონი არაფერი აქვს, მაგრამ აი, დაიწყო საუბარი და ჩვენს თვალწინ სასწაულებრივად შეიცვალა იგი: ვეღარ ვამჩნევთ მისი სახის ულამაზო ნაკვთებს, ვუსმენთ, გვხიბლავს და ვნატრობთ, გვქონდეს სწორედ ისეთი ღიმილი, ისეთი მეტყველება, ისეთივე განუმეორებელი მომხიბლაობა. და პირიქით, თუ ადამიანი ვერ იყენებს ბუნებისაგან ბოძებულს, თუ გარეგნული მშვენიერების მიღმა სულიერი უდაბნოა, უდაბნო ცოცხალ აზრსა და შინაარსის შუქს მოკლებული, ზურგს ვაქცევთ ასეთ სილამაზეს და გვენანება, უზომოდ გვენანება ფუჭად დაკარგული სიკეთე ბუნებისა, გვენანება სილამაზის შეწყვეტილი საგალობელი.

**მარიკა ბარათაშვილი**

# ნატა ხიზამ-ბარელი



საბადურის ფერდობზე ამაყად დგას ჯაჭვისნაირად ასხმული დიდი მოურავის კოშკი. ამ კოშკის პატრონი მტერს თავის ფართო გულმკერდს უშვერდა საფიცარი ქვეყნის სანაცვლოდ. ასევე უანდერძა ნოსტელებს. ეს დანაბარები თაობიდან თაობას გადაეცა, საუკუნემ საუკუნეს გადააბარა. ეს ანდერძი მაშინაც შეურყვნელად შეასრულეს ნოსტელებმა, როცა დედასამშობლოს გაუჭირდა, ისევ გამოჩნდა ნოსტელთა ვაჟკაცობა. დიდი სამამულო ომის დროს ამ პატარა სოფლიდან 200-ზე მეტი დარჩეული ვაჟკაცი ისე გაჰყვა სამშობლოს ძახილს, როგორც სააკაძეს მიჰყვებოდნენ ნოსტელები. ნახევარზე მეტმა იქ, ბრძოლის ველზე დატოვა თავისი სიცოცხლე.

იმ ძნელბედობის ჟამს სააკაძის აჩრდილმა ნოსტელ ქალებსაც შთაბერა ვაჟკაცური სული; უკაცოდ დარჩენილ სოფელში მათ მთელი ძალით გამოაბრწყინეს ქართველი დედის მანდილის მადლი.

41-ში ნოსტელებმა თავიანთ თავკაცად ქალი აირჩიეს. ნატა ხიზამბარელმა იტვირთა ეს მძიმე საქმე.

დაუმსახურებლად არ მიუღია სოფელს ეს არჩევანი.

ხიზამბარელი ახალგაზრდა ქვრივი იყო, 5 ობოლს ზრდიდა, შრომის სიყვარული და მამაცური გული დაჰყოლოდა ბავშვობიდანვე. როცა მისი ბედ-იღბალი კოლმეურნეობის გამგეობის კრებაზე წყდებოდა, კაბის ჯიბეში სულ ახალთახალი პარტბილეთი ედო.

კოლექტივის კრებას რაიონის მაშინდელი თავკაცებიც ესწრებოდნენ. ქალმა ვედრებაშეპარული ხმით ითხოვა, ვერ შევძლებო.

— შენზე უკეთ ჩვენ ვიცით, შვილო, შეძლებ თუ არა, — უთხრა ხანშიშესულმა გიორგი გაბოძემ და გამამხნევებლად გადახედა.

— რომელი გაურჯელი და გამოუცდელი შენა მყევხარ, ქალი ფერმის გამგეც იყავი და თავმჯდომარის მოადგილეც.

— სუ რო არაფერი ვთქვათ, მაგისი რგოლის სახელი რაიონში ჰქუხდა.

— ეგ გვინდა, ეგა! მაგისთანა ალალი და პატიოსანი არავინ გვეგულება.

იმ დღიდან დაიწყო ნატა ხიზამბარელის მოუსვენარი ცხოვრება. ახლაც გაახსენდება ის თეთრად გაცრეცილი ღამე, ბლომად რომ ერია მისი გულის მწარე ბალღამიც, იდუმალი შიშიც და ნდობით გამოწვეული სიამოვნების სიტკბოც. ომი იყო, ომი. ვაითუ ვერ გასძღოლოდა სოფელს! მერე და სოფელი ხომ სოფელს აღარ ჰგავდა, ქალებისა და მოხუცების ამარა დარჩენილი.

* * *

ომამდე ნოსტეს კოლმეურნეობა მხოლოდ 180 ჰექტარზე ხნავდა და თესავდა. ხიზამბარელმა სოფელში დარჩენილთაგან ქუდზე კაცი გამოიყვანა, საგულდაგულოდ მოახვნევინა, ყამირი გატეხა, ერთ წელიწადში ერთიორად ამრავლა თავისი კოლექტივის ნახნავ-ნათესი ქვეყნის საჭიროებისათვის. 1942 წლის ზაფხულისათვის ნოსტელები უკვე 260 ჰექტარზე იღებდნენ მოსავალს.

აი, რას წერდა რაიონული გაზეთი 1942 წლის 12 ივლისს:

„ნატა ხიზამბარელის ერთგული და სწორი ხელმძღვანელობის შედეგად ნათესების დამუშავებაში ყველაზე მოწინავე კოლმეურნეობაა ნოსტეს კოლმეურნეობა. შაქრის ჭარხლის, სიმინდის და ბოსტნეულის ნათესი აგროწესების განუხრელად გატარებით ვადაზე იქნა დამუშავებული. განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან გეგმაზე ზევით დათესილ თავდაცვის ჰექტარებს“.

სოფელი ხედავდა მის კაიქალობას. თვით თავმჯდომარესაც უხაროდა, რომ არც ერთ წითელარმიელის ოჯახს თონე არ გასციებია.

მოკლე ხანში თავმჯდომარის ოთახის შუაკედელზე ნოსტელების დიდი გამარჯვების ნიშანი — საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პირველი ხარისხის ორი დიპლომი აბრჭყვიალდა.

ყველაფერი ხიზამბარელის ჩაუმქრობელი მუშაობის შედეგი იყო, არც დღე ისვენებდა და არც ღამე. ვაჟკაცურად ამხედრდებოდა ცხენზე და ხან მინდორს მიაშურებდა, ხან საძოვრებს.

ნატა ხიზამბარელი ყოველ დედას ნოსტელი წინაპრის სახელს უმეორებდა, თავისი ვაჟიშვილი სამშობლოს თავისუფლებას რომ ანაცვალა.

ანდა რით არ ჩამოგავდა სოფიო ხიზამბარელი საკაძის მეუღლეს? სამი ვაჟკაცი გაისტუმრა ომში, თვითონ მინდორში ღვრიდა ოფლს. სამიდან ერთიღა დაუბრუნდა დედას.

მაგდან წიკლაურმაც სამი გაისტუმრა, სამივე ერთდროულად. თვითონ ნატასთან მივიდა და თავისი ჯანი და შრომა შესთავაზა.

მარო ნარიმანიძემ მეურმე ქმარი შეცვალა და მის მაგივრად მღეროდა ნაღვლშეპარულ ურმულს.

და ასე, ქართველდედობდნენ ნოსტელი ქალები. მართალია, ხან ერთს დაემდურებოდა გული შავი ქაღალდით, ხან მეორეს, მაგრამ უსაზღვრო, მოურეველ დარდს ისევ შრომას აჭიდებდნენ.

თავმჯდომარეს თავისი წილი დარდიც საკმაოდ ჰქონდა, შვილი ფრონტზე ჰყავდა. ომის წინადღეებში გამოგზავნილ ბარათს ეფერებოდა. შვილი საეჭვოდ დუმდა. მაგრამ მაინც ყველას სატკივარი სტკიოდა. თავისი მაგალითით სიმძიმილს უმსუბუქებდა.

* * *

დიდად დაეხმარა ფრონტს პატარა სოფელი.

მარტო 1943 წლის იანვრის დასაწყისში თავდაცვის ფონდში შეიტანეს 2 ტონა სიმინდი, 1 ტონა კომბოსტო, 1 ტონა კარტოფილი, 0,5 ტონა ხახვი და ხილი.

ოთარაანთ ქვრივივით დადიოდა მასავით შავმანდილიანი ქალი, აგროვებდა სურსათს, თბილ ტანსაცმელს.

ერთ დღეს ნატა ხიზამბარელმა კანტორაში ქალები მოაგროვა, მატყლი და საქსოვი მოუმარაგა... და იგზავნებოდა ფრონტზე ნოსტელ ქალთა ნახელავი.

ნოსტელებმა ტანკი შეიძინეს საკუთარი სახსრებით. ანტონ სიდამონიძე ტრაქტორს ჩამოაშორეს და ტანკს გააყოლეს. წლისთავზე თავმჯდომარის სახელზე წერილი მოვიდა. ბარათს ხელს აწერდნენ სევასტოპოლის გმირ დამცველთა ერთ-ერთი შენაერთის კომისარი და 7 მეთაური; კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მადლობას უხდიდნენ უშიშარი მებრძოლის ანტონ სიდამონიძის გამოზრდისათვის.

ტანკთან ერთად ნოსტელებმა ჭაბუკის სიცოცხლეც აჩუქეს მამულს.

ჯიბრს უწევდნენ დარდს სოფელში დარჩენილები.

სიმღერით მკიდნენ ბარაქიან ყანას. მინდვრად მოგუგუნე „ჰოპუნა“ არხევდა ჰაერს. განსაკუთრებით ერთსულოვანი შრომა იყო გაჩაღებული მოსავლის აღებისას, მოხუცი კაცები თიბავდნენ, ქალები აბულულებდნენ და ბავშვები ფოცხავდნენ.

იმკიდნენ მოსავალს და სჯეროდათ, რომ დაბრუნდებოდნენ ვალმოხდილი ვაჟკაცები. მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, სურდათ თავიანთი ქალობა ეჩვენებინათ შინდაბრუნებულებისათვის, დაეხვედრებინათ მოღონიერებული სოფელი.

მძიმე დრო იყო, უჭირდა სოფელს. სოფლის მომავალზე ბევრი როდიღა ფიქრობდა. მაგრამ ნატას დიდი ხანია შესჯდომოდა ამ ფიქრის ჭია.

ომის დაწყების ზუსტად წლისთავი სრულდებოდა.

ჯერ ახალი შემღვრეული იყო ღამე, ნატა ცხენს რომ მოაჯდა და კასპისკენ გასწია.

რაიკომის მდივანმა სახელოვანი თავმჯდომარე მალე მიიღო.

— სოფელში წყალძვირობაა, დამიავადმყოფდება ხალხი, ამღვრეული წყლის რიგში მიცდებიან ქალები.

— ეჰ, ჩემო ნატა, მაგის ჯავრი ვიღას აქვს ამ ხანაში!

— ოღონდაც ნება მოგვეცით და ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ!

რაიონის თავკაცი კარგად იცნობდა ქალს, და ამჯერადაც ენდო მას.

ორ დღეში მინისტრთა საბჭოდანაც ჩამოიტანა ნატამ ნებართვა და დაიწყეს მიწის თხრა წყლის მილების ჩასაყრელად.

სულ სიმღერით ვმუშაობდითო, იგონებენ ნოსტელი ქალები. შვიდ ადგილზე ამოიყვანეს წყალი, სოფლის შუაგულში ამოყვანილს „წყაროსთვალი“ შეარქვეს.

* * *

ნატა ხიზამბარელმა მარტო ჭირნახულის მოყვანა კი არა, მისი მოვლა-პატრონობაც იცოდა. ცხენზე ამხედრებული, შავძაძიანი ქალი ნებისმიერ ავგულს შიშს გვრიდა.

უშიშარი იყო თავმჯდომარე, გულმამაცი, დაუღლელი, გაუტეხელი. ის რომ მთაში მწყემსებთან მარტო ავიდოდა, ვაჟკაცს გაუჭირდებოდა. არც ერთ დასაქმებულ კაცს არ ტოვებდა, რომ არ დაეხედა.

მტერს მტრულად უხვდებოდა, მოყვარეს მოყვრულად, მოყვრები კი სჭარბობდნენ სოფლის სტუმრებში.

1942 წელს ნოსტეს ეწვია ქართველ მწერალთა ჯგუფი, მათ შორის კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ილო მოსაშვილი.

იმავე წლის ზაფხულში მრავალგზის ნასტუმრები სტუმრები: ანა ანტონოვსკაია და ბორის ჩორნი მობრძანდნენ ნოსტეში.

ხიზამბარელზე უკეთ ვინ დაეხმარებოდა „დიდი მოურავის“ ავტორს მასალისა თუ პროტოტიპების შერჩევა-შეგროვებაში.

რუსმა მწერლებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს ნოსტელებთან, ახლა ის სურათი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამშვენებს.

ნავთის ჭრაქზე იტკიებდნენ ისედაც დაღლილ თვალებს ნოსტელები თუ სტუმრები, თავმჯდომარემ ახლა სინათლის გამოყვანა ჩაითქვა გულში.

უფრო გაძნელდა ნებართვის აღება.

— მასალასაც ჩვენ მოვჭრით და მავთულსაც ჩვენვე ვიყიდით.

— ისეთი საპატიო სტუმრები გვეწვევიან და ნავთის ბოლით ვუწვავთ ყელსა და თვალებს.

ამაშიც ენდნენ, გულში შეუქეს კიდეც ქალობა.

მოსჭრეს ხის მასალა. მავთული დანაზოგი ფულით შეიძინეს. თავმჯდომარე სხვებზე მეტს მუშაობდა, სხვებსაც უბიძგებდა შრომისაკენ. თავადვე არჩევდა მოსაჭრელ მასალას.

წელშიგაწყვეტილმა ხალხმა ამაშიც სიხარულით აუბა მხარი თავკაცს, იცოდნენ, მათი სიკეთისათვის ზრუნავდა.

როგორ გაოცდნენ, როცა 44-ში ნოსტელთა სახლ-კარი განათდა. იმ დროს სხვა სოფლებში კი არა, თვით რაიონის ცენტრში — კასპშიც ყველგან არ იყო ელექტრონი.

მალე საკუთარი ელექტროწისქვილიც გამართეს, წელში გაიშალნენ, დღენიადაგ ნატას ლოცავდნენ.

ამასობაში ომიც მიყუჩდა.

თავმჯდომარეს მაინც არ შემოკლებია თეთრი ღამეები, დარდი ბევრი ჰქონდა, საქმეც, ორივე კი უძილო ღამეების მიზეზი იყო.

არც შვილი დაბრუნებია, არც ძმა, 8 რჩეული ვაჟკაცი მარტო ხიზამბარელიაანთ პატარა გვარმა დაკარგა.

სოფლის საქმეს მოევლებოდა, შავძაძიანების მოძალებას რომ არ მოეღალა მისთვის თვალები. რა ყოჩაღად მიჰყვებოდა ხალხი! ხელმძღვანელობაც როგორ მხარში ედგა!

* * *

გამარჯვების წელს გამარჯვებულმა თავმჯდომარემ თხოვნა შეიტანა — „სინათლის“ ნაცვლად კოლმეურნეობისათვის გიორგი სააკაძის სახელი ეწოდებინათ.

1946 წელს შესრულდა ნოსტელთა ეს ნება. ამავე წელს მოიცილა თავმჯდომარეობის მძიმე ტვირთი ნატა ხიზამბარელმა.

მაინც ვერ შეელივნენ. 2 წლის შემდეგ ისევ თავმჯდომარედ აირჩიეს. ახლა თეზიოკამის არხის მშენებლობაზე გამოიჩინეს თავი ნოსტელებმა და მათმა თავკაცმა.

წლებიც ჩამოიმარცვლა.

დრომ თავისი ხელი ნოსტელ „ოთარაანთ ქვრივსაც“ დარია. ყველაფერი მიწყნარდა, ომის ჭრილობებიც მოშუშდა. ნოსტეში ისევ დგას სააკაძის კოშკი. კოშკზე რომ ახვიდე, საბადურის ფერდობი უნდა აათაო. სანამ ამ გზას შეუდგები, მარჯვნივ პატარა სახლს დალანდავ. ამ სახლში ცხოვრობს ქალი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა თავისი სოფლის საკეთილდღეოდ, რომელიც ყველაზე ძნელ წლებში თავზე ედგა სოფელს, ქალი, რომელსაც შეურცხვენელი მანდილი ახვევია.

მხრებზე 76 წლის სიმძიმე დასწოლია ნატა ხიზამბარელს, მაგრამ უშრომლად რა გააჩერებს. თან რა მიმზიდველი საუბარი იცის, ტკბილქართული. მე შენ გეტყვი, ავსა და კარგს ვერ გაარჩევს, ანდა დაავიწყდება რამე. შრომაა მისი სტიქია. შრომას არც შებრძოლებია, დარდს შეებრძოლა. ცხოვრობს და შრომობს უპრეტენზიო ქალი, შეხარის შვილებსა და შვილიშვილებს, შეხარის ახალ ცხოვრებას.

**დალი მელაძე,**

**კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.**

**გარეკანის პირველ გვერდზე — „ქართვლის დედა“. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.**

**რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი**

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. ზალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

**ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი**

**საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 21/VIII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-74 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 125.000 შეკვ. 3120 უე 01892 **ფასი 80 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები



ქეთევან ლომთათიძე

ნინო ჯავახიშვილი



ელენე მეტრეველი





თინათინ შარაძენიძე

6150/205

ИНДЕКС 76178






# 50







